

საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი

№ 5

თბილისი
2007

საძიებელზე მუშაობდნენ: ე. იმნაძე, ლ. კარბელაშვილი, ლ. მარინაშვილი, ნ. მაჭავარიანი, ი. სისაური, ფ. ცარიტოვა.

გამოცემის რედაქტორი: ვ. კიკილაშვილი.

რედაქტორი: ჟ. ქვათაძე.

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: გ. თაყნიაშვილი.

კონსულტანტი კლასიფიკაციის საკითხებში:

ლ. კაკულია.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: შ. პაპალაშვილი

ნ. ბახტაძე, თ. ქურციკიძე, ნ. ხვედელიანი.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა შეაგროვოს, ფართოდ წარმოაჩინოს და საქართველოს საკითხებით დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე.

განყოფილება აგრძელებს საინფორმაციო საძიებელ “საქართველოს” გამოცემას, რომელიც საქართველოსმცოდნეობით დაინტერესებულ პირებს და სამეცნიერო დაწესებულებებს მიაწვდის ინფორმაციას ბიბლიოთეკაში შემოსულ ახალ წიგნებზე, ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის საინტერესო სტატიებზე.

წინამდებარე საძიებელი წინა საძიებლების გაგრძელებაა. ეს და შემდეგი რამდენიმე გამოცემაც ხარვეზების (2007 წლამდე) შევსებას ითვალისწინებს.

საძიებელში წარმოდგენილი მასალა განლაგებულია ქართველოლოგიის განყოფილებაში კატალოგებისა და კარტოთეკებისათვის გამოყენებული ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. იგი ანოტირებულია, რაც მკითხველს დასახელებული ლიტერატურის შინაარსისა და ძირითადი მონაცემების გაცნობის საშუალებას მისცემს.

მაჩვენებელს ერთვის პირთა ანბანური საძიებელი და აღწერილი ჟურნალების სია.

საინფორმაციო საძიებელზე მომუშავე თანამშრომლები სიამოვნებით მიიღებენ დაინტერესებულ პირთა შენიშვნებსა და წინადადებებს.

დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა

1. ხურცილავა ბ. ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისათვის = For Georgian Alphabet and Early Christian History of Georgia . – თბ. , 2006 . – 235 გვ.

სამეცნიერო სტატიების კრებული ეხება ქართული ანბანის წარმოშობას, ნეკრესის ნაქალაქარის ქართულ ასომთავრულ წარწერებს, პეტრე იბერის საერო სახელს, ქართლის ეკლესიის პირველი კათალიკოსის ვინაობას, “შუმანიკის წამების” დაწერის თარიღს და სხვ.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

2. ბუნებრივ ენათა დამუშავება : ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. 2006 წ. 5-6 დეკემბერი : კონფერენციის მასალები / არნ. ჩიქობავას ენათმეცნ. ინ-ტი [რედ. : ქ. დათუკიშვილი] . – თბ. , 2006 . – 44 გვ.

IV კონფერენცია. მომხსენებლები: ლ. ეზუგბაია, მ. მანჯგალაძე, ზ. ინჯია, ზ. აბაშიძე, ლ. ჩხაიძე, თ. უთურგაიძე, თ. ციციშვილი, მ. ბაბუხაძია და სხვ.

3. დევიშვილი თ. ციფრული ტექნოლოგიები სამუზეუმო საქმიანობაში // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები . – 2001 . – ტ. 7 . – გვ. 116 – 124. რეზ. რუს. ენაზე.

კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობები სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაციაში.

4. Чхенкели Н. Использование бесплатных справочных интернет-ресурсов США в Грузии // Кавказоведение . – 2002 . - № 2 . – с. 202 – 209. Рез. на англ. языке.

კ უ ლ ტ უ რ ა

5. გრიგალაშვილი ს. ქართული კულტურის კერა საფრანგეთში XIX საუკუნის II ნახევარში . – თბ. , 2006 . – 167 გვ.

საქართველო-საფრანგეთის პოლიტიკური, კულტურული, დიპლომატიური თუ ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლა. მიხეილ თამარაშვილის, ილია ტაბაღუას,

შოთა ლომსაძის, შალვა ვარდიძის და სხვათა ნაშრომები ქართული კულტურის კერების საქმიანობის შესახებ კონსტანტინეპოლსა და მონტობანში.

6. მიქაუტაძე-ჭანუყვაძე მ. ქართული კულტურის ისტორია : (პროგ. სახელმძღ. ხელოვნების უმაღლ. სასწ.) . – თბ. , 2006 . – 202 გვ.

ანტიკური ეპოქიდან XIX ს-ის I ნახევრის ჩათვლით; ადრეფეოდალური ეპოქის ქართული სამონასტრო ცენტრები საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ; Pპეტრე იბერიის საგანმანათლებლო მოღვაწეობა; XI_XIII საუკუნეების ქართული კულტურა, ხელოვნება; XVIII ს-ის ხუროთმოძღვრება და სხვ.

7. სამეცნიერო კონფერენცია “ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესები XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე” : თეზისები. მაისი, 2006 . – [თბ.] . , 2006 . – 88 გვ.

მხატვრობა, თეატრი, კინემატოგრაფია, ლიტერატურა და სხვ.

8. გაგოშიძე გ. ექსპედიცია წმინდა მიწაზე : (მოკლე ანგარიში) // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები . – 2003 . – ტ. 8 . – გვ. 145 – 149. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული სიძველეების (ქართული ხელნაწერები, აღმოსავლური საბუთები, ქართული მონასტრები და წარწერები) შემსწავლელი ექსპედიცია ისრაელ-პალესტინაში.

9. გიცბა თ. ფრანგული წიგნი თბილისში // საისტორიო ვერტიკალები . – 2002 . - № 2 . – გვ. 90 – 97. რეზ. ინგლ. ენაზე.

XIX_XX ს.ს. თბილისის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფრანგული ენისა და ლიტერატურის გავრცელება-პოპულარიზაცია, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გახსნილი ფრანგული წიგნის ბიბლიოთეკა-მაღაზიისა და ა. დიუმას სახ. ფრანგულ-ქართული კულტურული ცენტრის საქმიანობა.

10. თუმანიშვილი დ. საქართველო ეპოქათა გასაყარი // ქართული მოდერნიზმი : 1910 – 1930 . – [თბ. , 2006] . – გვ. 8 – 29.

კულტურული ურთიერთობების განვითარება საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის XX ს-ის დასაწყისში.

11. მეგრელიშვილი მ. აჭარის კულტურის ისტორიიდან : (XXს. 60-იანი წლები) // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2001 . - № 10 . – გვ. 69 – 74. რეზ. რუს. ენაზე.

ფორმით ეროვნული, მაგრამ შინაარსით სოციალისტური კულტურის დამკვიდრების პროცესის მოკლე ანალიზი; თეატრის, საბიბლიოთეკო ქსელისა და სამუზეუმო საქმიანობის განვითარების თავისებურებები.

12. საითიძე გ. ჰაინრიხ გუსენის უცნობი წერილები ექვთიმე თაყაიშვილისა და კორნელი კეკელიძისადმი : (XX ს-ის 10_20-იანი წლები) // ქართული დიპლომატია . – 2005 . – ტ. 12 . – გვ. 370 – 393. რეზ. ინგლ. ენაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. თაყაიშვილისა და კ. კეკელიძის პირად საარქივო ფონდებში დაცული გერმანელი მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნისა და თეოლოგის ჰ. გუსენის 1912-1926 წლებში გამოგზავნილი 22 წერილის პუბლიკაცია. წერილები საინტერესოა ქართულ-გერმანული ურთიერთობების და ზოგადად ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

13. ჩიქოვანი ნ. საქართველო ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე // საისტორიო შტუდიები . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 160 – 171. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული კულტურის რაობისა და საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემათა მეცნიერული კვლევა.

14. Каухчишвили Н. Три деятеля современной культуры в Грузии : П.А. Флоренский , В. Ф. Ерн , А. В. Ельчанинов // Caucasia . – 2001 . – Vol. 4 . – с. 57 – 66.

Тбилисский период жизни и деятельности ученого и богослова П. Флоренского, философа В. Ерна, священника и педагога А. В. Ельчанинова и их дальнейшая связь с Грузией.

15. Чиковани Н. Некоторые проблемы исследования истории грузинской культуры : Культурологический аспект // Caucasia . – 2002 . – Vol. 5 . – с. 30 – 37.

Этапы развития, факты и события происходящие на протяжении развития грузинской культуры. Актуальность, большое теоретическое и практическое значение культурологических исследований.

16. Чиковани Н. Проблема маргинальности и окраинности в истории грузинской культуры // Кавказоведение . – 2002 . - № 1 . – с. 57 – 66. Рез. на англ. языке.

Цель статьи-проследить цивилизационный статус грузинской культуры и выяснить роль маргинальности в ее истории.

ს ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ო ს ა ქ მ ე

17. აბრამიძე ნ. ბიბლიოთეკები მარტო წიგნსაცავები კი არა, კაცობრიობის გონების სინთეზია // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 11 – 12.

საბიბლიოთეკო საქმე გორის რაიონში.

18. არგუტინსკაია ი. ჩვენ 35 წლისანი ვართ // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 13 – 15.

საქართველოს ლადო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის საქმიანობა.

19. აფაქიძე შ. უმაღლეს სასწავლებელთა მთავარი ბიბლიოთეკის დღევანდელია, ამოცანები და პრობლემები // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2000 . - № 1 . – გვ. 25 – 26.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

20. ბერძენიშვილი ლ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ახალი საუკუნის მიჯნაზე // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2000 . - № 1 . – გვ. 15 – 19.

მოკლე ისტორია, ფონდები, საქმიანობა.

21. ბერძენიშვილი მ. იუბილარი ბიბლიოთეკა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 16 – 17.

თბილისში, ნაძალადეგში, 1901 წელს მწერალ მარიამ დემურას თაოსნობით გახსნილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესამე ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ისტორია, რომელიც ამჟამად ელექტროვაგონშემკვეთებელი ქარხნის პროფკავშირებს ეკუთვნის.

22. ბუკია ლ. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 36.

ბიბლიოთეკის მდგომარეობა.

23. გოგოლიშვილი ო. არალეგალური, საიდუმლო-პარტიული ბიბლიოთეკები ბათუმში მე-20 საუკუნის დასაწყისში : (პირველი ათწლეული) // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2001 . - № 10 . – გვ. 14 – 17. რეზ. რუს. ენაზე.

24. გოგსაძე ნ. ტექნიკური დოკუმენტაციის სახელმწიფო წიგნსაცავი : (გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკა თანამედროვე ეტაპზე) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2000 . - № 1 . – გვ. 36 – 37.

25. ზაალიშვილი მ. , ფირცხალავა ნ. 60 წელი მეცნიერების სამსახურში // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2000 . - № 1 . – გვ. 22 – 24.

ისტორიული ხასიათის ინფორმაციული მასალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის შესახებ.

26. ზუკაკიშვილი ლ. დადგება დრო აღმავლობისა : (№ 3 ბიბლიოთეკა-ფილიალი 75 წლისა) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 12 – 13.

თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების № 3 ბიბლიოთეკა-ფილიალის ისტორია.

27. თაყნიაშვილი გ. ერის სულიერი წამალი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 4 . – გვ. 30 – 33.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დაკომპლექტების საკითხი, არსებული მდგომარეობა, კომპიუტერიზაცია და სხვ.

28. თაყნიაშვილი გ. მემკვიდრეობა, გამოცდილება და თანამედროვეობა : ახლებური მიდგომის ცდა : (საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის მეთოდური სამსახური 1990-იანი წლების შემდეგ) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 27 – 31.

29. თაყნიაშვილი გ. სულიერი სრულყოფის გრძელი გზა : ავტორიტეტი და აღიარება : ქალბატონ ლეილა ზამზახიძის შემოქმედებითი პორტრეტისათვის // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 41 – 42.

საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი.

30. თაყნიაშვილი გ. ჯორჯ სოროსი და მისი ფონდი საქართველოში // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3). – გვ. 49 – 50.

ჯ. სოროსის პიროვნებისა და მის მიერ საქართველოში განხორციელებული საბიბლიოთეკო პროგრამების შესახებ.

31. იოსელიანი ლ. თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ბიბლიოთეკის ისტორიიდან // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 32 – 33.

32. კალანდარიშვილი მ. ლანჩხუთის საბიბლიოთეკო საქმის წარსულიდან // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 3 (4) . – გვ. 32.

ლანჩხუთელთა ადრეული საქმიანობა ბიბლიოთეკების დაარსებასა და მათ განვითარებასთან დაკავშირებით.

33. კავშირი _ “საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია”: წესდება // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2000 . - № 1 . – გვ. 12 – 14.

ჩამოყალიბდა 2000 წლის სექტემბერში.

34. კოლასა ი. საქართველო, დავიწყებული ქვეყანა? // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 45 – 46.

გერმანელი სპეციალისტის საუბარი საქართველოს ბიბლიოთეკების პრობლემებზე, ახლო წარსულის საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობაზე.

34. ლორია ა. ნიკოლოზ გიორგის ძე ლორთქიფანიძე : (დაბადებიდან 100 წლისთავი) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - №4 . – გვ. 60 – 63.

ბიბლიოთეკათმცოდნე, ბიბლიოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე; ცხოვრების გზა.

36. ლორია ა. , მელქაძე ნ. პირველი ქართველი საბიბლიოთეკო საქმის მოღვაწე : (გამოკვლევა) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 26 – 29.

ზაქარია ფალავანდიშვილის ღვაწლი “ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის” დაარსების საქმეში; ურთიერთობები მარი ბროსესა და დიმიტრი ყიფიანთან.

37. მელქაძე ნ. ძვირფასი შემოწირულებანი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 3 (4) . – გვ. 41.

ლონდონის უნივერსიტეტის რუსული და ქართული ენების პროფესორის, ქართველოლოგ დონალდ რეიფილდის მიერ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისათვის გადაცემული მის მიერ გამოცემული წიგნები.

38. მელქაძე ნ. ხანმოკლე გზის საწყის-სასრული : მოკლე ისტორიული ნარკვევები საქართველოს პირველი პარლამენტის ბიბლიოთეკის შესახებ (1918 – 1923) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2000 . - № 1 . – გვ. 46 – 47.

39. მომავლის განჭვრეტით... : აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 30 – 32.

წარსული და დღევანდლობა.

40. პულუზაშვილი ს. ერთი გამოცემის შესახებ // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 46 – 47.

მოგონება ეხება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების მიერ მომზადებულ (შემდგენელი თ. მაჭავარიანი) გაზ. “ივერიის” ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გამოცემას.

41. საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2000 . - № 1 . – გვ. 8 – 11.

მიღებულია 1996 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის მიერ.

42. საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 6 – 8.

43. საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის რეორგანიზაცია – დღევანდლობის მოთხოვნა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 4 – 5.

სისტემის გარდაქმნისათვის გასატარებელი ღონისძიებანი.

44. საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების ტიპური დებულება // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 7 – 9.

ზოგადი დებულებები, ბიბლიოთეკების დანიშნულება და ამოცანები, ფუნქციები, ხელმძღვანელობა, ორგანიზაცია და მართვა, სასკოლო ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

45. საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის დებულება : დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ (ბრძანება № 81, 14. 04. 99) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 4 . – გვ. 8 – 10.

46. საქმიანი შეხვედრები // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 51 – 52.

2001 წ. 5 – 6 მაისს, თბილისში ჩატარებული რეგიონალური სემინარი თემაზე “ამიერკავკასიის საბიბლიოთეკო ასოციაციების განვითარება”. სემინარის ორგანიზატორები: აშშ, აზერბაიჯანის, სომხეთის საბიბლიოთეკო ასოციაციები და საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია / ინფორმაცია მოამზადა ი. ღარიბაშვილმა.

47. სტურუა გ. საჭიროა მეტი სიახლე, მეტი შემართება!... : (სამტრედიის სარაიონო ბიბლიოთეკაში) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 13 – 14.

ბიბლიოთეკის პრობლემები.

48. სტურუა გ. ხონის ბიბლიოთეკა ასი წლისაა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 3 (4) . – გვ. 33.

ისტორია და საქმიანობა.

49. ტაბიძე ნ. ანდრო აბრამიშვილი // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 157 – 167.

ფილოლოგიისა და ბიბლიოგრაფის ცხოვრება, მოღვაწეობა ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

50. ტოგონიძე მ. საბიბლიოთეკო კადრების მომზადება საქართველოში // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 105 – 110.

საქართველოში საბიბლიოთეკო განათლების ისტორიიდან.

51. ტოგონიძე მ. უებრო პიროვნება და პროფესიონალი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 54 – 55.

თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის თანამშრომლის, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის ქეთევან ფოფხაძის ცხოვრების გზა.

52. ფილაური ი. პროფესიონალი და მოქალაქე უპირველეს ყოვლისა! // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 3 (4) . – გვ. 42 – 43.

თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დოცენტის ალა ოთაროვას სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული მოღვაწეობა.

53. ფილაური ი. საქმე საქებარი _ სიტყვა იმედიანი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 15.

ბათუმის ცენტრალური საქალაქო და ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკების მდგომარეობა.

54. ქევხიშვილი ე. სიღნაღის კულტურისა და მწიგნობრობის კერა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 10 – 11.

სიღნაღის სარაიონო ბიბლიოთეკის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა.

55. ქვრივიშვილი მ. თელიანის ბიბლიოთეკა დღეს // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 1 (2) . – გვ. 16.

კასპის რაიონის თელიანის სასოფლო ბიბლიოთეკის საქმიანობა.

56. ღარიბაშვილი ი. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია _ ენთუზიაზმი და მისი საფუძველი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 4 . – გვ. 24 – 30.

ასოციაციის საქმიანობა, მიზნები და ამოცანები; ბიბლიოთეკის, საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთობა; ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის საკითხები; განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, დაფინანსების წყაროები და სხვ.

57. ჩხიტუნიძე თ. ნიკო ცხვედაძე _ სასკოლო ბიბლიოთეკის მოამაგე // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 4 . – გვ. 39 – 41.

პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნ. ცხვედაძის ზრუნვა ბიბლიოთეკებზე, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაზე მის მიერ გამოტანილი საკითხი _ “წესი სახალხო სკოლების ბიბლიოთეკებზე”; წესდების ტექსტი, რომელიც მან გამგეობას წარუდგინა.

58. ჩხიტუნიძე თ. სტუდენტი, წიგნი, ბიბლიოთეკა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 2 (3) . – გვ. 30 – 31.

ისტორია ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის და მისი ბიბლიოთეკისა, რომელსაც მემკვიდრეობით ერგო თბილისში მანამდე მოქმედი საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ბაზა და იქ ორგანიზებული ბიბლიოთეკა.

59. წიგნი და კომერცია // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2001 . - № 3 (4) . – გვ. 8 – 9.

წიგნებით ვაჭრობა საქართველოში XIX საუკუნეში; თბილისში წიგნის მაღაზიებისა და ბიბლიოთეკების გახსნა.

60. წიკლაური გ. ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა : წარსული, დღევანდელი და პერსპექტივები // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2000 . _ № 1 . – გვ. 27 – 29.

61. ჭანტურიშვილი ი. , თაყნიაშვილი გ. ინფორმაცია საქართველოს ბიბლიოთეკების შესახებ ინტერნეტში // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2000 . _ № 1 . – გვ. 20 – 21.

ენციკლოპედიები . ლექსიკონები . ბიბლიოგრაფიები

62. ბეროზაშვილი ნ. ქართულ-არაბული დიპლომატიური ლექსიკონი / აპოლონ სილაგაძის რედ. და წინასიტყვ. – თბ. , 2005 . – 303 გვ.

63. გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი : გერმანული ფრაზეოლოგიზმების ქართული განმარტებანი : გერმანულ გამონათქვამთა სპეციალური (იდიომეტური) ლექსიკონი / შემდგ. ო. აბაშიძე; [რედ. : ს. ვაჩნაძე] . – 1-ლი გამოც. – თბ. , 2006 . – 483 გვ.

64. თემატურ-დარგობრივი ქართულ-ფრანგული ლექსიკონი = Vocabulaire Thematique et Dictionnaire Terminologique Georgien-Francais : (სასწ.-პედ. ლექსიკონი) / [შემდგ. : ნ. აფშილავა და სხვ. ; მთ. რედ. : ნ. ქადეიშვილი]. – თბ. , 2005 . – 482 გვ.

65. ინგლისურ-ქართული სამუსიკო ლექსიკონი = English-Georgian Dictionary of Music: 2300 სიტყვა / შემდგ. : ქ. თუხარელი; [რედ. : ნ. ლორია] . – 1-ლი ქართ. გამოც. – თბ. , 2006 . – 106 გვ.

66. კალანდაძე გ. აფორიზმების ენციკლოპედია : ბრძნული აზრების საგანძური . – [თბ.] , 2006 . – გვ. 711.

საქართველოს ისტორიაში პირველ, სისტემატიზირებულ, ენციკლოპედიური ტიპის აფორიზმების კრებულში თავმოყრილია მსოფლიოს მოაზროვნეებისა და მწერლების ბრძნული გამონათქვამები ადამიანთა ყოფის მრავალმხრივ პრობლემებზე.

67. სამუშია შ. რუსულ-ქართული ლექსიკონი გრამატიკული ცნობარით : [32 ათასამდე სიტყვა] . – თბ. , 2006 . – 908 გვ.

68. ჯაფარიძე ლ. სამხედრო ტერმინების იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონი = Dizionario Italiano-Georgiano e Georgiano-Italiano dei termini militari . – თბ. , 2006 . – 196 გვ.

69. გაბუნია გ. “ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის” სრულყოფისათვის // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 168 – 171.

გ. ბაქრაძის მიერ შედგენილი “ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945”-ის (თბ. , 1947) ზოგიერთი ხარვეზის შესახებ.

70. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები : (ბიბლიოგრაფია) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები . _ 2002 . _ ტ. 29 . _ გვ. 214 _ 219.

1955 _ 1994 წლების გამოცემებში (ტ. 1 _ ტ. 28.) გამოქვეყნებული სტატიებისა და ნაშრომების ჩამონათვალი.

71. ელბაქიძე თ. ხმოვანი ქრონიკა : საქართველოს რადიოს “ოქროს ფონდის” საგანძური . – თბ. , 2006 . – 252 გვ.

ემღვნება საქართველოში რადიომაუწყებლობის დაარსების 80 წლისთავს. ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეთა, მეცნიერთა და პოლიტიკოსთა გამოსვლების, საუბრების, მოგონებებისა და შეხვედრების ჩანაწერები.

72. საქართველოს რეგიონული მედია-რუკა / მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკ. ინ-ტი, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინ-ტი . – თბ. , 2005 . – 307 გვ.

ნაშრომის მიზანია საქართველოს რეგიონებში მედიის მდგომარეობის შესწავლა: (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა-თიანეთი, შიდა ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, გურია, აჭარა).

73. ჯაგოდნიშვილი თ. ნოდარ ტაბიძე = Nodar Tabidze = Нодар Табидзе . – თბ. , 2006 . – 142 გვ.

ნოდარ ტაბიძის ჟურნალისტური, პედაგოგიური საქმიანობა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი მეცნიერული და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

74. ბაქრაძე ლ. პირველი ქართული უცხოენოვანი ჟურნალი საზღვარგარეთ და ვიქტორ ნაკაშიძე // საისტორიო ვერტიკალები . – 2002 . - № 2 . – გვ. 86 – 89. რეზ. რუს. ენაზე.

ცნობები ლონდონში გამოცემული ქართული ფრანგულენოვანი ჟურნალის “L’Independance de Caucase. Bulletin Officiel du Comite National-Separatiste Gorgien” (1910 წ.) და მისი რედაქტორის ვიქტორ ნაკაშიძის პიროვნებისა და პოლიტიკური საქმიანობის შესახებ.

75. გაგოშიძე შ. ჟურნალისტიკის საკითხები გაზეთ “კვალში” // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა . – გვ. 121 – 137.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემები გაზეთ “კვალის” პუბლიცისტიკაში.

76. დათუკიშვილი მ. გაზეთ “საქართველოს” (1903-1905) დაარსების ისტორიისათვის // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 130 – 138.

77. ვარდოსანიძე ს. სასულიერო ჟურნალ “სვეტიცხოვლისა” და “ახალი სიტყვის” პროფილი // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 10 . – გვ. 134 – 144. რეზ. ინგლ. ენაზე.

ჟურნალი “სვეტიცხოველი” (რედ. ინგოროყვა – 1917), როგორც ავტოკეფალიაადგენილი ქართული ეკლესიის ოფიციალური ორგანო და მასთან ოპოზიციაში მყოფი ჟურნალის “ახალი სიტყვის” (1918) ტენდენციურობა.

78. ვარშანიძე ნ. პირველი ქართული გაზეთი ბათუმში // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2001 . - № 10 . – გვ. 30 – 34. რეზ. რუს. ენაზე.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში (1882) ოფიცერ კ. ვაჩნაძის თაოსნობით ყოველდღიური გაზეთის “ბათუმის ფურცლის” გამოცემა.

79. თავამაიშვილი მ. ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ზოგიერთი საკითხი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა . – გვ. 28 – 36.

რეკლამა, როგორც მედიის საარსებო წყარო და ნებისმიერი ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება; მედიისა და რეკლამის სხვადასხვა ჟანრების ურთი-ერთმიმართება თანამედროვე საზოგადოებაში.

80. კიკნაძე ვ. იოსებ იმედაშვილი _ 125 : დიდი მოღვაწე // თეატრი და ცხოვრება . _ 2001 . _ № 2 . _ გვ. 78 _ 79.

მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. აქვეა მისი სტატია _ “თეატრი და ცხოვრება”, რომელიც ეძღვნება ჟურნალის გამოცემას.

81. კუტუბიძე ლ. ეროვნული და სოციალური საკითხების ასახვის ზოგიერთი ასპექტი XX ს. 10_20-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა . – გვ. 191 – 203

განალიზებულია გაზეთების: “კვალის”, “ახალი კვალის”, “საქართველოს” და ჟურნალ “კლდის” პუბლიკაციები.

82. კუტუბიძე-ზუბაშვილისა ლ. თანამედროვე ქართული პრესის შესახებ // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 44 – 47.

საზოგადოებისა და თავად ჟურნალისტების მიერ წაყენებული მოთხოვნები დღევანდელი ქართული პრესისადმი.

83. მალაზონია დ. ისტორიულ თხზულებათა რეცენზია-მიმოხილვები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 145 – 150.

გაზეთებში: “ივერია”, “დროება”, “მწყემსი”, “ცნობის ფურცელი”, “შრომა” დაბეჭდილი პუბლიკაციების ანალიზი.

84. მესხია ე. ბათუმის საკითხი საერთაშორისო კონფერენციებზე და გაზეთი “სამუსლიმანო საქართველო” // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2001 . - № 10 . – გვ. 35 – 40. რეზ. რუს. ენაზე.

1919_1920 წლების პარიზის, ლონდონისა და სან-რემოს საერთაშორისო კონფერენციების გამოძახილი “სამუსლიმანო საქართველოს” ფურცლებზე (გამოდიოდა 1919_1921 წწ.).

85. მდებრიშვილი ა. ცხინვალის ქართული გაზეთი XX საუკუნის 90-იან წლებში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 58 _ 65.

გაზეთ “შიდა ქართლის” (1991 წ. 27 ივნ.) დაარსების ისტორია და მისი როლი ქართულ-ოსური ურთიერთობის აღდგენის საქმეში.

86. ნიკოლეიშვილი ო. არაქართველ ხალხებთან დამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი სერგეი მესხის ნააზრევში // ქართული დიპლომატია . – 2005 . – ტ. 12 . – გვ. 430 – 445. რეზ. ინგლ. ენაზე.

ეროვნული სულისკვეთება და პროამერიკულ-პროდასავლური ორიენტაცია გაზეთ “დროებაში” გამოქვეყნებულ ს. მესხის პუბლიცისტურ წერილებში.

87. ნიკოლეიშვილი ო. სერგეი მესხის სარწმუნოებრივი თვალთახედვა // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2002 . - № 11 . – გვ. 125 – 130.

პუბლიცისტის ლოიალური დამოკიდებულება სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარი ქართველებისადმი, მისი გულისტკივილი “სარწმუნოებისა და ნაციის ერთმანეთში არევის” თაობაზე.

88. ოსეფაშვილი დ. ინტერვიუს ტრანსფორმაცია : (თანამედროვე ქართული პრესის მიხედვით) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა . – გვ. 90 – 101.

პუბლიცისტის ერთ-ერთი წამყვანი ჟანრის-ინტერვიუს ფორმისეული ევოლუცია და მისი ძირითადი ტენდენციები.

89. პროფესორი შოთა გაგოშიძე // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა . – გვ. 5 – 7.

ჟურნალისტიკა და ლიტერატორის შ. გაგოშიძის შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა (დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით).

90. საგანელიძე ქ. გაზეთი “დროება” თურქეთის შესახებ 1876_78 წლებში // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . – გვ. 374 - 386. რეზ. რუს. ენაზე.

91. ტაბიძე ნ. პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებები // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა . – გვ. 51 – 63.

პერიოდულ გამოცემათა სათაურის შერჩევასთან დაკავშირებული სიმკნელები. პერიოდულ გამოცემათა სახელწოდება – როგორც ტექსტთა გამაერთიანებელი და მათგანაიზივებელი ერთეული.

92. ტალახაძე ნ. ივანე გვარამაძის პუბლიცისტისტიკა : (გაზეთ “დროების” მიხედვით) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა . – გვ. 179 – 190.

პუბლიცისტი ივანე გვარამაძის (იგივე “ვინმე მესხი”) მესხეთისადმი მიძღვნილი წერილების მიმოხილვა.

93. ტორაძე მ. სასამართლო რეფორმის ასახვა ქართულ პრესაში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 37 – 43.

განხილულია “საქართველოს რესპუბლიკის”, “კავკასიონის” და “ალიას” პუბლიკაციები.

94. შამილიშვილი მ. უცვლელად ცვალებადი... // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 48 – 57.

1999 წ. ქართულ ჟურნალისტიკათმცოდნეობაში შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

95. ჩხარტიშვილი ც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ისტორიიდან : (ჟურნალი “თეატრი და მუსიკა”) // საისტორიო შტუდიები . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 153 – 159. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქუთაისში 1919 წელს დაარსებული ჟურნალისა და მისი რედაქტორის ექიმ იოსებ ასლანიშვილის შესახებ.

96. ხაინდრავა-ბენიძე ი. ზოგი რამ თბილისის უნივერსიტეტის პრესის შესახებ // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა . – გვ. 204 – 207.

თბილისის უნივერსიტეტის პერიოდული ორგანოების “პროლეტარულ სტუდენტთა ხმა” (1927_30 წწ.), “უნივერსიტეტის ხმა” (1930_33 წწ.), “ბოლშევიკური კადრები” (1933_39 წწ.), “ახალგაზრდა სტალინელი” (1952-62 წწ.) და “თბილისის უნივერსიტეტი” (1962_ ...) – მოკლე განხილვა.

97. ხორბალაძე თ. გრიგოლ ვეშაპელი და საქართველოს ორიენტაციის საკითხი : (გაზეთ “კლდის” მიხედვით) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა . – გვ. 168 – 178.

პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გრ. ვეშაპელის (1891-1926) შეხედულებების ტრანსფორმირება ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში მსოფლიო მოვლენათა ცვალებადობის კვალდაკვალ.

98. ხორბალაძე თ. გაზეთი “კლდე” : (1918-1920 წლები) // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 139 – 145.

გაზეთის დაარსების ისტორია და მიმართულება.

99. Kuprashvili H. The Main Instrument of Realization of Informational Politics // Кавказоведение . – 2002 . – № 2 . – А. 13 - 15. Рез. на англ. языке.

მასმედის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

მ უ ზ ე უ მ ე ბ ი

100. კალანდია გ. გამარცული საგანძური . – თბ. , 2006 . – 433 გვ.

ექვნიერა დადიანების მუზეუმის დამაარსებლის აკაკი ჭანტურის დაბადებიდან 125 წლის იუბილეს. დადიანების სასახლის ისტორია და ა. ჭანტურის მეცნიერული მემკვიდრეობა: ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური ჩანაწერები.

101. აბულაძე ქ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმი // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 9 . – გვ. 81 – 86. რეზ. ინგლ. ენაზე.

მუზეუმის გახსნის (თბილისი, 1933 წ.) ისტორია, ექსპონატები და საქმიანობა.

102. ადლი შ. ქართული და აღმოსავლური ფერწერა შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში : (გამოკვლევები ჩატარდა ა. და ან. გრიგოლიების, მ. ფრიდმანისა და ნ. ჰოსეინის ხელშეწყობით) // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები . – 2001 . – ტ. 7 . – გვ. 94 - 106. რეზ. ფრანგ. ენაზე.

მუზეუმის სპარსულ კოლექციაში დაცული ფერწერული ტილოები და მინიატურები.

103. ლომთათიძე თ. , ხალვაში მ. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი _ 10 // ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები . – 2005 . – ტ. 3 . – გვ. 5 – 13.

დაარსებიდან 10 წლისთავი. ექსპონატები და საქმიანობა.

104. მარგიშვილი რ. ხელოვნების მუზეუმში დაცული ენქერებისა და დაფარების ბერძნული წარწერები // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები . – 2003 . – ტ. 8 . – გვ. 78 _ 91. რეზ. ინგლ. ენაზე.

ნაქარგობის რამდენიმე ნიმუშზე ქართულის პარალელურად შესრულებული ბერძნული წარწერები.

105. მამუჩაშვილი ნ. ხელოვნების მუზეუმში დაცული ორი გრაფიურის ატრიბუცია // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები . – 2001 . – ტ. 7 . – გვ. 107 – 111. რეზ. ინგლ. ენაზე.

მუზეუმის სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილებაში დაცული XIX-XX სს. იაპონური ხელოვნების საინტერესო ნიმუშები: კიტაგავა უტამაროს გრაფიურის ანაბეჭდი და სიუნტეი მიაგავას გრაფიურის ორიგინალი.

106. როსტიაშვილი ნ. ჩინური ფაიფურის კოლექცია : (ზოგადი ხასიათის ნარკვევი) // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები . – 2003 . – ტ. 8 . – გვ. 92 – 99. რეზ. ინგლ. ენაზე.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების განყოფილებაში დაცული ჩინური ფაიფურის კოლექციის მხატვრული ღირებულების შეფასება.

107. ფრუიძე ლ. მოსაზრებანი აკად. გ. ჩიტაიას სახელობის ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის თბილისის სახელმწიფო ღია ცის ქვეშ მუზეუმის რეანიმაციისა და ფუნქციონირებისათვის // ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიებანი . – 2002 . – ტ. 4 . – გვ. 132 - 148.

მუზეუმის დაარსების ისტორია, პრობლემები, მისი გადარჩენისა და ამოქმედების კონცეფციის შემუშავების აუცილებლობა.

108. ყიფიანი ნ. ქალთა ტერაკოტული ფიგურების კოლექცია ხელოვნების მუზეუმიდან // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები . – 2001 . – ტ. 7 . – გვ. 29 – 39. რეზ. გერმ. ენაზე.

ქანდაკებების აღწერა, მათი ანალოგებისა და პარალელების მოძიება, წარმოების ცენტრისა და თარიღის განსაზღვრა.

109. Хускивадзе Л. По поводу “дела” о подделках грузинских эмалей // Кавказоведение . – 2002 . - № 2 . – с. 222 – 227. Рез. на англ. языке.

По поводу статьи научного сотрудника Гос. Музея искусств Грузии Н. Л. Беручашвили “Об истории перегородчатых эмалей из коллекции М.П. Боткина в Государственном музее искусств Грузии”, напечатанной в сборнике статей Гос. Эрмитажа.

110. Чхаидзе Г., Мелкадзе Н. К истории становления Кавказского музеума : (Факты и лица) // Кавказоведение . – 2002 . - № 1 . – с. 26 – 34. Рез. на англ. языке.

Учреждение Кавказского музеума при Кавказском отделе Императорского Русского Географического общества, широкая программа деятельности и значительная роль музея в деле развития музейного дела на Кавказе.

111. Шарикадзе Т. Из истории одного элемента женского туалета: (По материалам фондов Государственного музея Грузии им. С. Джанашия) // Кавказоведение . – 2003 . - № 4 . – с . – 143 – 148. Рез. на англ. языке.

Описание 14 вееров европейского, Китайского, Индийского и Египетского происхождения, хранящиеся в фондах музея Грузии.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი

112. იმნაიშვილი ვ. უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში / [დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით] . – თბ. , 2004 . – 331 გვ.

ხანმეტი ლექციონარი, ფსალმუნი, სვიმეონ სალოსის ცხოვრება, იოვანე ოქროპირისა და იაკობ მოციქულის ჟამისწირვები და სხვ.

113. იმნაიშვილი ვ. კიდევ ერთხელ ხანმეტი ლექციონარის შესახებ // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 5 – 19. რეზ. რუს. ენაზე.

VII ს-ით დათარიღებული ე. წ. ხანმეტი ლექციონარის ბედი, რომელიც XIX ს-ის მიწურულს სინას მთიდან გრაცის უნივერსიტეტში მოხვდა; მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბირმინგემში დაცული იოანე-ზოსიმეს ანდერძიანი ფურცელი არ წარმოადგენს ლექციონარის ორიგინალურ ნაწილს.

114. იოანე ბოლნელის დიდმარხვის ქადაგებანი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები . – 2002 . – ტ. 29 . – გვ. 134 – 170.

იოანე ბოლნელის დიდმარხვის ციკლის რვა ქადაგება _ სინას მთის ხელნაწერთა კოლექციის X საუკუნის ხელნაწერის (Sin 44) ფოტოპირის მიხედვით. ხელნაწერი სრული სახით ქვეყნდება პირველად.

115. პაპუაშვილი თ. ლავრის ღმრთისმშობლის ეკლესიის ოთხთავის ხელნაწერი და მისი ანდერძი // საისტორიო ვერტიკალები . – 2002 . - № 2 . – გვ. 61 – 65. რეზ. რუს. ენაზე.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული XI ს-ის მწიგნობრის ათანასე წიგნაურის მიერ ლავრის მონასტერში (კასპის რ-ნი სოფ. ლავრა) გადაწერილი ხელნაწერის აღწერილობა და ანდერძში მოცემული ისტორიული მასალის განხილვა.

116. სარჯველაძე ზ. წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები . – 2002 . – ტ. 29 . – გვ. 109 – 133.

წყაროსთავის ოთხთავის (ხელნაწერი A_98) ტექსტუალური შესწავლა და მისი შედარება სინურ ხელნაწერებთან, აგრეთვე ურბნისის, პალესტინის, მესტიისა და ტბეთის ოთხთავებთან.

117. სვანეთის წერილობითი ძეგლები (X _ XVIII სს) / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. ტ. 1. _ თბ. , 1986; ტ. 2. _ თბ. , 1988.

რეც. : ჭუმბურიძე ზ. // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები . _ 2002 . _ ტ. 29 . _ გვ. 206 _ 213.

118. ჩიტუნაშვილი ლ. ახალი სინური კოლექციის № 67 ხელნაწერში დაცული კრებულის სტრუქტურისათვის // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . _ 2001 . _ № 4 . _ გვ. 42 _ 47. რეზ. ინგლ. ენაზე.

1975 წელს სინას მთაზე აღმოჩენილი აპოფთეგმური ხასიათის ხელნაწერი კრებული.

ფილოსოფია

119. ნათაძე გ. მეტაფიზიკა პროგრესის ისტორიაში გაცხადებული : (საქართველოს დღევანდელი ფსიქოლოგიური კრიზისის ძირითადი პარამეტრები) . – [თბ. , 2006] . – 260 გვ.

120. ბეზარაშვილი ქ. მშვენიერების ცნების გაგებისთვის ბიზანტიურ ესთეტიკაში და ეფრემ მცირესთან // სჯანი . _ 2002 . _ ტ. 3 . _ გვ. 74 _ 90; დასაწყისი : 2003 . _ ტ. 4 . _ გვ. 58 _ 78.

მშვენიერების ცნების ორი ასპექტი: ტრანცენდენტური და ესთეტიკური. მათი ურთიერთმიმართება გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულის მაგალითზე (მთარგმნელი ეფრემ მცირე) და მიქაელ ფსელოსის ტრაქტატებში.

121. გოლეთიანი რ. ტოტალიტარული რეჟიმი და ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი : (XX საუკუნის 30_40-იანი წლები) // ფილოსოფიური ძიებანი . – 2001 . – ტ. 5 . – გვ. 234 – 256. რეზ. ინგლ. ენაზე.

შ. ნუცუბიძის, ს. დანელიას, კ. ბაქრაძის იდეოლოგიური პოზიციები.

122. თვარაძე რ. ოცნება იდეალისტური ესთეტიკისათვის // სჯანი . _ 2001 . _ ტ. 2 . _ გვ. 3 _ 7.

დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულების ცნების რაობისათვის.

123. იოანე პეტრიწი. განმარტება პროკლე დიადოხოსის “ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა” / თანამედროვე ქართულზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დ. მელიქიშვილმა . – თბ. , 2000 . – 329 გვ.

რეც. : მახარაძე, მ. , ზაქარაძე ლ. იოანე პეტრიწის ნაშრომი თანამედროვე ქართულით // ფილოსოფიური ძიებანი . – 2001 . – ტ. 5 . – გვ. 312 – 316.

124. მიშველაძე ბ. თანამედროვე ბუნებისმეტყველების კონცეფციები . – თბ. , 2000 . – 274 გვ.

რეც. : კავლელაშვილი ა. საყურადღებო ნაშრომი თანამედროვე ბუნებისმეტყველების ძირითადი კონცეფციების შესახებ // ფილოსოფიური ძიებანი . – 2001 . – ტ. 5 . – გვ. 317 – 319.

125. მშვენიერაძე ნ. ადამიანის შემოქმედების პრობლემა დიმიტრი უზნაძის ფილოსოფიაში // ფილოსოფიური ძიებანი . – 2001 . – ტ. 5 . – გვ. 276 – 279. რეზ. ინგლ. ენაზე.

126. ცქიტიშვილი თ. სინდისის საკითხისათვის იოანე პეტრიწის “ფილოსოფიურ ტრაქტატში”: // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები . – 2001 . – ტ. 30 : კრებული . – გვ. 65 – 77.

იოანე პეტრიწის მსჯელობა ადამიანის შინაგან სამყაროზე, სამართლიანობისა და თვითგანსჯის უნარზე.

რ ე ლ ი გ ი ა

127. ალასანია გ. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში = Twenty Centuries of Christianity in Georgia = Двадцать веков христианства в Грузии . – [თბ.], 2006 . – 79 გვ.

ტექსტს ახლავს ქართული ეკლესია-მონასტრებისა და ფრესკების ილუსტრაციები.

128. ალდამიძე თ. მეხუთე კოლონა საქართველოში . – თელავი. , 2001 . – 24 გვ.

პასუხი ჟურნალ “არილის” 2000 წლის მე-2 და მე-12 ნომრებში ნ. პაპუაშვილისა და დ. ზურაბიშვილის სტატიებზე, რომლებიც ეხება იეღოველთა საქმიანობას საქართველოში.

129. ანდლულაძე ს. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი : (ვასილ კარბელშვილი) . – თბ. , 2006 . – 175 გვ.

XIX ს-ის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის სასულიერო მოღვაწის შემოქმედების ძირითადი ასპექტები, ბრძოლა საქართველოს ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

130. არველაძე ბ. როცა უდავო სადავო ხდება : სტატიები და წერილები . – თბ. , 2006 . – 248 გვ.

წერილები ქართულ-სომხური ურთიერთობის საკითხებზე; სომეხ მეცნიერთა მიერ ქართული ტაძრების სომხური არქიტექტურის ძეგლებად გამოცხადება; ეჯ-მიაწინის აგრესიული პოლიტიკა ქართული ეკლესიის და ერის მიმართ 1801_1860 წწ. , მეუფე ანანია ჯაფარიძე თურქთა მიერ მესხთა გამაჰმადიანების შესახებ და სხვ.

131. არველაძე ბ. ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება . – თბ. , 2006 . – 55 გვ.

სომხურად მითვლილი ეკლესიების ქართულობის დამადასტურებელი წერილობითი წყაროები. ს. კარაპეტისანის რუქა-ცნობარის “სომხური ეკლესიები საქართველოში” ქართული თარგმანი.

132. ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი : წიგნი მარკოზისა / [მთარგმნ. : პროტოპრესვიტერი გიორგი (ხელმძღვ.) და სხვ. ; რედ. : დ. მელიქიშვილი . – [თბ.], 2005 . – 48 გვ.

133. ახალი აღთქმუაი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. წიგნი ა : მათესაგან წმიდაი სახარებაი . – თბ. , 2005 . – 303 გვ.

მათეს სახარება ქართულ, ბერძნულ, რუსულ და ლათინურ ენებზე პარალელური ადგილებით.

134. გერმანე კონსტანტინეპოლელი. სახისმეტყველებითი განმარტება საღმრთო ლიტურგიისა / წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი . – თბ. , 2004 . – 70 გვ.

საეკლესიო, საღვთისმსახურებო რიტუალის აღწერა და მისი სულიერი მნიშვნელობა.

135. გონჯილაშვილი ნ. “წმინდა ნინოს ცხოვრების” პარადიგმული სახეები . – თბ. , 2006 . – 206 გვ.

“წმ. ნინოს ცხოვრებიდან” გამოყოფილი სამი სახე-სიმბოლოს მხატვრული სემანტიკის გამოვლენა და მათი სიმბოლური მნიშვნელობის გახსნა; მათში ასახული წარმართული წარმოდგენების ქრისტიანული მოდიფიცირების გამოკვლევა.

136. გრიგოლ ნოსელი. სწავლაი ლოცვისაი და თარგმანებაი “მამაო ჩუენოსაი” = De Oratione Dominica / ძველი ქართ. თარგმანის ტექსტი გამოსაც. მოამზადა... ე. ქირიამ . – თბ. , 2006 . – 79 გვ.

ქრისტიანული ეგზეგეტიკის ძეგლის “მამაო ჩუენოს” განმარტება და მისი ქართული თარგმანი წმინდა ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ.

137. გუნია ი. საქართველოს მონასტრები : ენციკლოპედიური ცნობარი . – [თბ.] , [2005] . – 200 გვ.

2004 წლისათვის საქართველოს მოქმედი მონასტრების ენციკლოპედიური ცნობარი, ეპარქიათა რაოდენობა და სამონასტრო ცხოვრება. ნაშრომს ერთვის ისტორიულად არსებული მონასტრების ცხრილი, საზღვარგარეთ მდებარე ქართული სამონასტრო ცენტრების ჩამონათვალი და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ეპარქიათა რუკა.

138. დოკუმენტები იმერეთში საეკლესიო გალობის ისტორიისათვის : (1821-1920 წ.წ.) / შეადგინა და გამოსაც. მმოამზადა მ. კეზევაძე . – ქუთაისი , 2006 . – 208 გვ.

ემღვნება გელათის მონასტრის დაარსების 900 წლისთავს და ფ. ქორიძის “ქართული გალობის” ოთხწიგნეულის გამოცემიდან 110 წლისთავს.

139. კეზევაძე მ. გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს . – ქუთაისი , 2006 . – 340 გვ.

ემღვნება მონასტრის დაარსების 900 წლისთავს. გელათის მონასტრის რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 20-იან წლებამდე. მონასტრის მართვა-გამგეობა იმერეთის რეფორმის შემდგომ, უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა, საგანძურისა და სიძველეების მეცნიერული კვლევა.

140. კეზევაძე მ. ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები . – ქუთაისი , 2005 . – 64 გვ.

საარქივო მასალები (1811_1917 წწ.) რაჭაში აგებულ ეკლესიებსა და იქ მოღვაწე მღვდლებზე.

141. კელენჯერიძე მ. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა : (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა) . – [თბ.] , 2006 . – 312 გვ.

წმინდა გაბრიელ (ქიქოძე) ეპისკოპოსი (1825_1896 წწ.).

142. ლოცვანი და დაუჯდომელი ღმრთისმშობლისაი / მოამზადა ე. ჭელიძემ; [რედ. : ზ. ჯალმაიძე]; ახალი, შესწ. გამოც. _ თბ. , 2006 . – 332 გვ.

143. მერკვილაძე დ. ასურელი მამები : (VI ს-ის სირიელი სასულიერო მოღვაწენი საქართველოში) . – [წ.1] . – თბ. , 2006 . – 217 გვ.

აზიზის ნეკრესელის წამება, ასურელ მამათა ცხოვრება და მათი გავლენა ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ ყოფაზე: (იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ისე წილკნელი, სტეფანე ხირსელი, მიქელ ულუმბელი, არსენ იყალთოელი და სხვა.

144. ... ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევებს სოფელსა : [მამა ანდრია, კამანის წმინდა იოანე ოქროპირის ტაძრის წინამძღვარი / შემდგ. : მაკრინე (ნ. ყურაშვილი), მ. ჩხაიძე, ბ. ბალარჯიშვილი და სხვ.] . – [თბ. , 2006] . – 220 გვ.

კამანის წმინდა მიწაზე მოღვაწე მამა ანდრიას ღვაწლმოსილი ცხოვრება და მოწამეობრივი აღსასრული.

145. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წელი. სამეცნიერო კონფერენცია (2005 წლის 2-4 ნოემბერი). მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები = Православие в Абхазии и вопросы национальной самоидентификации . – მოხსენებების კრებული: I / [მთ. რედ. : ჯ. გამახარია] . _ თბ. , 2005 . – 339 გვ.

146. ფანჯიკიძე თ. , ყანდარელი თ. რელიგიური ცხოვრება საქართველოში : (წარსული და თანამედროვეობა) . – თბ. , 2006 . – 162 გვ.

შრომა ეხება საქართველოში გლობალიზაციის ხანაში არსებულ რელიგიურ ვითარებას. უახლეს მასალას რელიგიათა და ცალკეულ რელიგიურ კონფესიათა შესახებ ე.წ. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ.

147. ფერაძე ი. გრიგოლ ფერაძე წმინდა მღვდელმოწამე, მოქალაქე, მეცნიერი . – თბ. , 2005 . – 46 გვ.

წმინდა გრიგოლის ცხოვრება, მოღვაწეობა და ტრაგიკული აღსასრული.

148. ფსალმუნნი / მოამზადა ე. ჭელიძემ; [რედ. : ზ. ჯალმაიძე]; ახალი შესწ. გამოც. – თბ. , 2006 . – 264 გვ.

149. წვერავა ვ. საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში . – ქუთაისი , 2003 . – 160 გვ.

კავკასიის კოლონიზაციის მიზნით ცარიზმის მიერ მთიელთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება.

150. წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი) და აფხაზეთი / შემდგ.-რედ. : ჯ. გამახარია . – თბ. , 2006 . – 487 გვ.

კირიონ II–ის მოწამეობრივი ცხოვრება და მრავალმხრივი მოღვაწეობა: ბრძოლა ეკლესიის ავტოკეფალიისათვის, აფხაზეთში ქართული ეკლესიის იურისდიქციის აღდგენა-განმტკიცებისათვის, წერილები აფხაზეთის ეკლესიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

151. ჭელიძე ე. “ლოცვათა” და “ღმრთისმშობლის დაუჯდომლის” ახალი გამოცემის გამო . – თბ. , 2006 . – 112 გვ.

152. ჭელიძე ე. “ფსალმუნთა” ახალი გამოცემის გამო . _ თბ. , 2006 . – 72 გვ.

153. ხაჩიძე ლ. ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან = Aus der christlichen kulturgeschichte Georgiens . – თბ. , 2000 . – 379 გვ.

X საუკუნის ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ნიმუშების განხილვა ჰიმნოგრაფიული კრებულის “მარხვანის” მიხედვით.

154. ჯოხაძე გ. XIII_XIV საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან . – თბ. , 2003 . – 191 გვ.

ეკლესიის როლი და მნიშვნელობა ფეოდალურ იერარქიაში. მონღოლთა ბატონობა და ქართველთა თავდადება სარწმუნოებისათვის; ურთიერთობა კათოლიკურ სამყაროსთან; სოციალური საკითხები.

155. აბაშიძე ზ. ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობის საკითხისათვის IV_V საუკუნეებში // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 349 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია . – გვ. 171 – 178. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა ანალიზი.

156. ალექსიძე ზ. ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლები შუა საუკუნეების საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა თვალთახედვით // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . – გვ. 314 – 323. რეზ. ფრანგ. ენაზე.

ქართველ სამღვდლოებასა და ბერძნულ ეკლესიას შორის გამართული პოლემიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

157. ალიბეგაშვილი გ. წმ. გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიური შეხედულებები . _ თბ. , 2000.

რეც. : გოლიაძე ს. გაქცევა ამოუცნობი დაუდევრობიდან // საგურამო . _ 2001 . _ № 1 . _ გვ. 66.

158. აფციაური ნ. ქართველთა გაქრისტიანების საკითხები “წმ. ნინოს ცხოვრების” სომხურ სვინაქსარულ რედაქციაში (ჰაისმავურქებში) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . – გვ. 337 – 341. რეზ. ინგლ. ენაზე.

159. აფციაური ნ. წმინდა რიფსიმეანები // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . – გვ. 324 – 336. რეზ. რუს. ენაზე.

წმ. ნინოს სომხური ეკლესიის პირველ მარტვილებად წოდებულ რიფსიმეანებთან კავშირის საკითხის განხილვა. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

160. ბაინდურაშვილი ხ. ქრისტიანული და მუსლიმური რელიგიების ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში (VII-XII სს.) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 349 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია . – გვ. 179 – 197. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

არაბთა გეგმაზომიერი რელიგიური პოლიტიკის მიუხედავად ქართულ ქრისტიანულ მოსახლეობაში ისლამმა ფეხი ვერ მოიკიდა. იდეოლოგიური დაპირისპირება სისხლისმღვრელი შეტაკების საფუძველი არ გამხდარა.

161. ბარნაველი მ. სახარებისეული ერთი სიტყვის განმარტებისათვის // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . – № 4 . – გვ. 12 – 17. რეზ. ინგლ. ენაზე.

მათეს და მარკოზის წიგნებში იოვანე ნათლისმცემლის შესახებ გამოთქმულ ფრაზებში ნახმარი სიტყვა “მკალის” განმარტება.

162. ბერაია დ. ძველი კოლხეთის სარწმუნოების შესახებ // სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტის შრომები . – 2000 . – ტ. 5 . – გვ. 107 – 114.

სამეგრელოს ისტორიული წარსულის მიმოხილვა. სარწმუნოებრივი ურთიერთობა ძველ საბერძნეთსა და ირანთან, ქრისტიანობის გავრცელება.

163. ბუბულაშვილი ე. ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882_1887) მოღვაწეობის ისტორიიდან // აღმოსავლეთი და კავკასია . – 2005 . – №3 . – გვ. 41_47. რეზ. რუს. ენაზე.

მთავარეპისკოპოს პავლე ლებედევის და სასულიერო აკადემიის რექტორ, დეკანოზ პავლე ჩუდეცკის ანტიქართული მოღვაწეობა. დიმიტრი ყიფიანის მიმართვა ეგზარქოს პავლესადმი. ჩუდეცკის მკვლელობა.

164. ბურკაძე ზ. ანთიმოზ ივერიელი // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2001 . – № 10 . – გვ. 17 – 25. რეზ. რუს. ენაზე.

მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელის (1650_1716) მოღვაწეობა და მისი როლი ვლახეთში ბეჭდვითი საქმიანობის დაფუძნებასა და თბილისში პირველი ქართული ტიპოგრაფიის შექმნაში.

165. გაბაშვილი მ. რატომ გადმოიტანეს აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში? // აღმოსავლეთი და კავკასია . – 2003 . – №1 . – გვ. 33 – 40. რეზ. ინგლ. ენაზე.

გიორგი ბრწყინვალის (1314–1346) მოღვაწეობის დროს რომაული ეკლესიის მიერ აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრის თბილისში გადმოტანის მიზეზები.

166. გაჩეჩილაძე ვ. ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან / გამოსაც. მოამზადა, წინათქმითა და შენიშვნ. აღჭურვა მ. ქადაგიძემ // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 349 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია . – გვ. 441 – 462. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე; ქართული დიპლომატია . – 2004 . – ტ. 11 . – გვ. 503 – 527. რეზ. ინგლ. ენაზე.

ანტონ I კათალიკოსის პიროვნება და მოღვაწეობა. წარმოდგენილია დღემდე უცნობი ანტონ I-ის სიგელი (ანტონისა და ერეკლე II-ის ხელმოწერებით).

167. გვანცელაძე თ. , ტაბიძე მ. სამეგრელოს სამღვდელოებისა და მოსახლეობის ბრძოლა დედაენისათვის : (XIXს. II ნახევრიდან 1905 წლამდე) // ქართველოლოგიური კრებული . – 2006 . – № 5 . – გვ. 32 – 43. რეზ. ინგლ. ენაზე.

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას პირად არქივში დაცული დოკუმენტების განხილვა, რომლებშიც ასახულია სამეგრელოს სასულიერო და საერო მოღვაწეთა ბრძოლა ღვთისმსახურების სფეროში ქართული ენის გამოყენების შესანარჩუნებლად.

168. გვარამე ე. ქართული დიპლომატია და წმინდა მიწის პრობლემა : (XIII-XIV საუკუნეთა მიჯნა) // სტუდენტური ძიებანი . – 2001 . – № 1 . – გვ. 41 – 48.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, მისი ჩამორთმევისა (1273 – 1274 წწ.) და გამოხსნის (1316/17 ან 1320 წწ.) თარიღების დადგენის მცდელობა.

169. გველესიანი მ. ქართული არმაზი, სომხური არამაზდი და ირანული სამყარო // საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები . – 2003 . – ტ. 8 . – გვ. 3 – 14. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული და სომხური წარმართული პანთეონის უზენაეს ღვთაებათა ურთიერთმიმართების საკითხები ისტორიული წყაროების მიხედვით.

170. გუგუჩია ო. , გულუა რ. რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ქართულ სინამდვილეში // სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტის შრომები . – 2000 . – ტ. 5 . – გვ. 115 – 122.

ქრისტიანული სარწმუნოების მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების ტენდენციები ეკლესია-მონასტრებთან არსებულ კულტურულ და განათლების ცენტრების საქმიანობაში.

171. ვარდოსანიძე ს. რუსეთის დროებითი მთავრობა და საქართველოს ეკლესიის საკითხი // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 140 – 145.

რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აღიარება.

172. ზაქარეიშვილი ი. ტარასი ალექსიშვილი და ქართული კულტურის ძეგლები : (1793-1874) // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები . – 2001 . – ტ. 7 . – გვ. 112 – 115.

საეკლესიო პირის, მკვლევარისა და კალიგრაფის ცხოვრება და მოღვაწეობა. მესხიშვილ-ალექსიშვილის გვარის ისტორია.

173. ილურიძე მ. ხელთუქმნელი ხატი და მასთან დაკავშირებული დღესასწაული საქართველოში // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი . – 2002 . – ტ. 4 . – გვ. 359 – 368.

მარტყოფის ღვთაების ეკლესიაში წმ. მამა ანტონ მარტყოფელის მიერ მაცხოვრის სასწაულმოქმედი ხატის მისვენებისა და საეკლესიო დღესასწაულის შემოღების შესახებ.

174. კაპანაძე ხ. სამკვეთლოს თავდაპირველი ფუნქციური დანიშნულებისა და მრევლის ასაკობრივი დიფერენციაციის თაობაზე // სამეცნიერო შრომების კრებული : ხელოვნებათმცოდნეობა . – 2002 . – №4 . – გვ. 55 _ 61. რეზ. ინგლ. ენაზე.

ძველ ეკლესიებში ყრმათათვის გათვალისწინებული სადგომები ნათლისღების მოსამზადებლად და საგანგებო სადგომი ანუ სამკვეთლო, რომელიც შენაწირვისთვის (დაგების პურის მისაღებად) გამოიყენებოდა, რაც დღემდე შემორჩა სეფისკვერის “ზარძიმზე” გადაცემის სახით ამა თუ იმ პირის მოსახსენებლად.

175. კაჭარავა ე. შიომღვიმის მონასტრის სენიორალური კუთვნილების საკითხისათვის შუა საუკუნეებში // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 349 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია . – გვ. 108 – 119. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მოსაზრება, რომ VI _ XIV საუკუნეებში შიომღვიმის მონასტერი სამეფო საკუთრებაში იყო, რაც მას ათავისუფლებდა საკათალიკოსო-საეპარქიო დამოკიდებულებისაგან.

176. კეკელია ვ. იაკობის მონასტრის საკითხი და ჯვაროსანთა ურთიერთობა ქართულ-სომხურ კოლონიებთან იერუსალიმის წმინდა მიწაზე XII საუკუნეში // ქართული დიპლომატია . – 2004 . – ტ. 11 . – გვ. 62 – 88. რეზ. ინგლ. ენაზე.

ისტორიული წყაროები იერუსალიმში წმ. იაკობის მონასტრის ქართველების მფლობელობაში ყოფნისა და მისი დაკარგვის შესახებ.

177. კიკნაძე ზ. სამსახეობა ასკეზისა // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 171 – 181.

ასურელ მამათა ცხოვრება, დედამიწის რელიეფის სამი განზომილების: უდაბნოს, მთისა და გამოქვაბულის კონცეპტუალური მნიშვნელობა ასურელ მამათა მოღვაწეობაში.

178. მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია : (ქართული პერიოდი) . – თბ. , 2002.

რეც. : გვენეტაძე ეპიფანე (ედიშერ) // საისტორიო ვერტიკალები . – 2002 . - № 3 . – გვ. 144 – 145.

179. მჭედლიშვილი ლ. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სექტანტების (დუხოზორებისა და მოლოკნების) რელიგიური შეხედულებები და წეს-ჩვეულებები : (XIX ს.) // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 [12] . – გვ. 106 – 117. რეზ. ინგლ. ენაზე.

919. ბეჟიტაძე მ. ანდრეი ბელი და საქართველო // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 5_19.
რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

რუსი მწერლის შთაბეჭდილებები საქართველოსა და ქართველ სიმბოლისტ პოეტებზე. მისი წიგნი – “ქარი კავკასიიდან”, რომელშიც ასახულია საქართველოში მოღვაწე მისი პაპის, სამხედრო ექიმის ვასილ ბუგაევისა და დუშეთში დაბადებული მამის, მათემატიკოს ნიკოლოზ ბუგაევის როლი ანდრეი ბელის პიროვნების ფორმირებაში.

920. ბერაძე ი. ნიკო ლომოურის მსოფლმხედველობისათვის // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 61 _ 82. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ნიკო ლომოურის მსოფლმხედველობისა და ქართული ლიტერატურის ისტორიაში მისი ადგილის საკითხი რაფიელ მამულაშვილის ნაშრომში – “იყო თუ არა ნიკო ლომოური ხალხოსანი მწერალი?” (გამოქვეყნდა 1979 წ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის შრომების კრებულში).

921. ბიბილაშვილი ნ. მოგონებათა პოეტური ხატი _ ნიკო სამადაშვილი // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 214 – 217. რეზ. ინგლ. ენაზე.
პოეზიის განხილვა, მისი თემატიკა.

922. ბოლქვაძე თ. მეტაბოლა და ნორმა // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები . – 2002 . – ტ. 29 . – გვ. 23 – 33.

ნორმისა და მეტაბოლის მიმართების საკითხის განხილვა ძველი ქართველი მეხოტბეების _ შავთელის ”აბდულმესიანისა” და ჩახრუხაძის ”თამარიანის” (“ქება მეფისა თამარისი”) მაგალითზე.

923. ბრეგაძე ლ. პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში : (წერილი მეორე) // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 144 _ 151.

რევაზ ინანიშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, ზაალ სამადაშვილის, აკა მორჩილაძის ნაწარმოებთა განხილვა.

924. ბრეგაძე ლ. პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში : (წერილი მესამე) // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 139 _ 143.

პოსტმოდერნისტული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნების “ავტორის ნილაზისა” და მისი ფუნქციის შესახებ.

925. ბუაჩიძე თ. ილიას “უბედური” განდევნილი და ჰეგელის “უბედური ცნობიერება” // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 49 _ 58.

უბედურების ჰეგელისეული და ილიასეული კონცეფციის შედარება.

926. გაბაშვილი მ. თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით (“ვეფხისტყაოსანი”, “აბდულმესიანი”, “თამარიანი”) // აღმოსავლეთი და კავკასია . – 2005 . – № 3 . – გვ. 54 _ 75. რეზ. რუს. ენაზე.

927. გაბოძე ჯ. აკაკი წერეთლის პოემა “ნათელას” დაწერის თარიღის შესახებ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . – № 4 . – გვ. 182 – 186. რეზ. ინგლ. ენაზე.

მიტროფანე ლალიძის, ს. ფანცხავას მოგონებებისა და კ. ლორთქიფანიძის აკაკისადმი მიწერილი წერილის მეშვეობით ზუსტდება პოემის დაწერის თარიღი. პოეტს მასზე მუშაობა 1996 წლის იანვრის შემდეგ დაუწყია და 1997 წლის იანვარში დაუმთავრებია.

928. გალდავა მ. ზნეობითი ღვთისმეტყველების პარადიგმა “ვეფხისტყაოსანში” // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . – № 4 . – გვ. 68 – 80. რეზ. ინგლ. ენაზე.

წარმოჩენილია, თუ რას წარმოადგენს ზნეობრივი ღვთისმეტყველება, როგორც საღვთისმეტყველო დისციპლინა და რა ასპექტით ცნაურდება იგი “ვეფხისტყაოსანში”.

929. გარაყანიძე დ. “ადამიანებო, შეიყვარეთ ერთმანეთი!” // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 129 _ 137.

კეთილსა და ბოროტს შორის მიმდინარე ჭიდილი ნოდარ დუმბაძის რომანის “მარადისობის კანონის” მაგალითზე.

930. გარაყანიძე დ. ღვთის სიყვარულს გაფრთხილება უნდა // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . – № 4 . – გვ. 218 – 220. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია ნ. დუმბაძის რომანი “მარადისობის კანონი”.

931. გაჩეჩილაძე გ. ხედვის წერტილი, თვალთახედვის მრავალწერტილი // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 3 _ 18.

ინტერვიუ ლიტერატურათმცოდნე გიორგი გაჩეჩილაძესთან ქართული ცნობიერების დრამატიზმსა და პარადოქსებზე / ესაუბრა ნინო დარბაისელი.

932. გვახარია ა. “ვეფხისტყაოსნის” რამდენიმე ტაეპის აღმოსავლური კომენტარი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . – გვ. 48 _ 54. რეზ. რუს. ენაზე.

პოემის რამდენიმე სტროფის – “მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული”, “გასტეხს ქვასაცა მაგარსა გვრდემლი ტყვიისა ლბილისა” და სხვათა განხილვა აღმოსავლურ ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების მოხმობით.

933. გიორგაძე ნ. “განდეგილი” და ასკეტიზმის კრიტიკა?! // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 [12] . – გვ. 45_49. რეზ. ინგლ. ენაზე.

რწმენის დაკარგვის ტრაგედია ილია ჭავჭავაძის პოემაში “განდეგილი”.

934. გოგილაშვილი ო. , ნიკოლაძე ზ. ჰუმანიზმის აღზრდის იდეები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში “ოთარაანთ ქვრივი”

// თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 9 . – გვ. 3 _ 7. რეზ. ინგლ. ენაზე.

935. გოგოლაძე თ. მინაწერები ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების პირველი (1881 წ.) გამოცემის ფურცლებზე // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 146 _ 149.

შესრულებული ნიკო ნიკოლაძის მიერ.

936. გოგოლაძე თ. სატრფიალო ლექსის სიტყვისა და ფრაზის ესთეტიზმისათვის ქართულ ლიტერატურაში // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 50-60. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

937. გოლიაძე ო. ტარიელი – ვეფხისტყაოსნის რაინდი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 76 _ 85. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ტარიელის მიერ სხვა პერსონაჟებთან ერთად განსაკუთრებული ეთიკური სამყაროს შექმნა და ამის საშუალებით ავტორის მსოფლმხედველობითი პრინციპების დემონსტრირება.

938. გორგიშელი გ. “წამებაი ყრმათაი რიცხვთ ცხრათაჲ”-ს დათარიღებისათვის // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 [12] . – გვ. 99_105. რეზ. რუს. ენაზე.

ქართული აგიოგრაფიული ძეგლის “კოლაელ ყრმათა მარტვილობის” და მასში მოთხრობილი ამბის დროის დადგენა-დაზუსტების ცდა.

939. გოცაძე მ. “ზაამიანის” ავტორის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ // საისტორიო შტუდიები . – 2007 . – ტ. 2 . – გვ. 73 _ 82. რეზ. გერმ. ენაზე.

ირან შაჰ ბენ აბი ალხაის მიერ მე-12 ს-ში დაწერილი საგმირო პოემის “ზაჰმან-ნამეს” ქართული თარგმანის “ზაამიანის” განხილვა.

940. გოცაძე მ. “ზაჰმან-ნამე” და მისი ქართული ვერსია “ზაამიანი” // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . – გვ. 55 _ 63. რეზ. რუს. ენაზე.

უცნობი ავტორის მიერ თარგმნილი “ზაამიანი” და მისი სპარსულ დედანთან შედარება.

941. გოცირიძე ი. ირაციონალურისა და რაციონალურის ურთიერთმიმართება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში : (საკითხის დასმისთვის) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 187 – 189. რეზ. ინგლ. ენაზე.

ცნებათა “რაციონალური-ირაციონალური” ფსიქოლოგიური გაგება, ვაჟას გმირების სულიერი სამყაროსადმი ფსიქოლოგიური მიდგომა _ თემა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში შეუსწავლელია.

942. გრიგალაშვილი ი. “მიქელ-გობრონის მარტვილობა” და შატბერდის კრებული // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 25 – 31. რეზ. ინგლ. ენაზე.

შატბერდის კრებულის შედგენის ზუსტი თარიღის განსაზღვრისათვის მოცემულია მასში შესული თხზულებათა ანალიზი.

943. გრიგოლ ნაზიანზელის გნომური პოეზიისა და მისი კომენტარების ანონიმური ქართული თარგმანი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 155 _ 194. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მე-12_13 საუკუნის გელათის თეოლოგიური სკოლის ქართული ლიტერატურული მიმდინარეობის უცნობი წარმომადგენლის მიერ შესრულებული თარგმანი კომენტარებით / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ქეთევან ბეზარაშვილმა.

944. დათაშვილი ლ. სრულყოფილებისაკენ დაუსრულებელი ლტოლვის კონცეფცია გრიგოლ ნოსელის “მაკრინას ცხოვრებაში” // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები . – 2001 . – ტ. 30 : კრებული . - გვ. 202-207.

გრიგოლ ნოსელის ნაწარმოები და ქართული ჰაგიოგრაფია.

945. დარჩია ლ. მემუარისტიკის სპეციფიკა და მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურის განვითარება // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 190 – 193. რეზ. ინგლ. ენაზე.

მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურის და განსაკუთრებით მემუარულის მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიისა და ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის.

946. დოიაშვილი თ. ანჟამბემანის ცნებისათვის // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 106 _ 114
ანჟამბემანი ანუ გადატანა – მეტრული რიგისა და სინტაქსური დაყოფის
შეუთავსებლობის შედეგად წარმოქმნილი რიტმულ-სინტაქსური ფიგურა.
947. ელაშვილი ქ. ორმაგი სახელდების ფუნქცია ადრეული პერიოდის ჰაგიოგრაფიულ
ძეგლებში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 18 –
21. რეზ. ინგლ. ენაზე.
მოწამეთა ორმაგი სახელდება "მარტვილობათა" მიხედვით. ორსახელიანობის
ტენდენციის განმარტება.
948. ელიავა ლ. ქალის საკრალური კულტი რუსთაველთან // თბილისის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 155 _ 161.
ვეფხისტყაოსნის გმირ ქალთა სახე-იდებების სიმბოლიკა.
949. ვასაძე თ. "ვეფხისტყაოსნის" მხატვრული შინაარსის კომენტარები : ავთანდილის
დაბრუნება არაბეთში // საგურამო . – 2001 . - № 1 . – გვ. 19 _ 23.
950. ვასაძე თ. ორგვარი ცნობიერება . – თბ. , 2001.
რეც. : გოლიაძე ო. ნამდვილი ლიტერატურის მისია // საგურამო . – 2002 . _ № 2 . – გვ.
62 _ 63.
რეც. : შეშაბერიძე თ. "ორმაგი ცნობიერების" კვალდაკვალ // სჯანი . – 2003 . – ტ. 4 . –
გვ. 204-207.
951. ვასაძე თ. სიახლოვის აღმოცენება : (ციკლიდან "ვეფხისტყაოსნის" მხატვრული
შინაარსის კომენტარები)//სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 129 _ 135.
რუსთაველის გმირების პიროვნული მისწრაფებები, პერსონაჟთა ბედისა და
მდგომარეობის გარკვეული მსგავსების შედეგად აღმოცენებული სიახლოვე.
952. ზედგინიძე ნ. ინგლისურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები : (საკითხის
ისტორია) // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . –
ტ. 9 . – გვ. 68-74. რეზ. ინგლ. ენაზე.
953. ზეთეიშვილი ი. "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" შესახებ // საგურამო . – 2001 . -
№1 . – გვ. 64 _ 65.
პარიზში გამომავალ რუსულენოვან ჟურნალში – "Символ", № 42-ში გამოქვეყნებული
გიორგი მერჩულეს ნაწარმოების ახალ რუსულ თარგმანზე დართული წინასიტყვაობის
შემოკლებული ვარიანტი.
954. თაბორიძე ე. ვაჟა-ფშაველას სწავლება სკოლაში და თანამედროვეობის პრობლემები
// თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 9 . – გვ.
21 _ 29. რეზ. ინგლ. ენაზე.

955. თამაზაშვილი მ. ნიკო ლორთქიფანიძის “აგასფერის და ძეწნას” “შინაგანი” ხასიათი // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 210 – 213. რეზ. ინგლ. ენაზე.

ნოველის თემატიკა და კომპოზიციური წყობა.

956. თვალთვაძე დ. ეფრემ მცირე ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ერთი საკითხის შესახებ // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები . – 2001 . – ტ. 30 : კრებული . – გვ. 116 – 122.

პავლე მოციქულის ეპისტოლეთა კომენტარების ქართულ თარგმანზე დართულ “მთარგმნელის მოზრახულ” ანდერძში ეფრემ მცირის მიერ მოწოდებული მნიშვნელოვანი ცნობები პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების ბერძნული დედნებისა და მათი ქართულად გადმოღების შესახებ.

957. იმედაძე ნ. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობის თავისებურებანი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 87 _ 112. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

განხილულია ბარათები, რომლებიც გრ. ორბელიანის ცხოვრების მეორე პერიოდს განეკუთვნება და ნათლად წარმოაჩენს მისი პოეზიისა და პიროვნების განუყოფლობას.

958. კანკავა გ. ილიას ეროვნული ცნობიერების თავისებურების გამო // საგურამო . – 2001 . - № 1 . – გვ. 24_33.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური, იდეოლოგიური და ესთეტიკური შეხედულებები.

959. კანკავა გ. ილიას ”მგზავრის წერილები” და ბოკლის ”ცივილიზაციის ისტორია ინგლისში” // სჯანი . – 2003 . – ტ. 9 . – გვ. 125_134.

ინგლისელი ისტორიკოსის და სოციოლოგ-პოზიტივისტის ჰენრი ტომას ბოკლის (1821_1862) ნაშრომის გავლენა ილია ჭავჭავაძის სოციოლოგიური, ისტორიული და პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

960. კენჭოშვილი ი. გალაკტიონის პალიმფსესტი // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ.72-79.

ეპიკური ელემენტი ”ის” გალაკტიონის ლირიკაში, მისი სიმბოლური და განზოგადოებული ჟღერადობა.

961. კენჭოშვილი ი. დიგლოსია ძველი და გარდამავალი ხანის ქართულ მწერლობაში // სჯანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 24 _ 32.

დიგლოსიის, ანუ ენის თვისობრივად განსხვავებული ორი ფორმის, ორი იდიომის გამოყენება მე-12 _ 18 სს. ქართულ მწერლობაში. დიგლოსიის სტილური თავისებურებანი.

962. კენჭოშვილი ი. მარგინალური პოეზიის პარადიგმები : (რუსთაველიდან გალაკტიონამდე) // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 44 _ 51.

მარგინალური ქართული პოეზიის განვითარება და ჟანრები. მარგინალურ-მასობრივსა და ელიტარულ-ინდივიდუალურს შორის არსებული ზღვარის წაშლის ტენდენცია თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

963. კერძევაძე მ. ვასწავლოთ სრული ჭეშმარიტება // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 19 . – გვ. 104-112. რეზ. ინგლ. ენაზე.

გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის” ზოგიერთი ეპიზოდის ახლებური ახსნა.

964. კვარაცხელია გ. ვაჟა-ფშაველა ახალი პოეზიის სათავეებთან // სჯანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 118 _ 124

ნოვატორული ფორმის (ლექსი პროზად) დამკვიდრება მწერლის ზოგიერთ ნაწარმოებში. მისი ესთეტიკის, ფილოსოფიურ-ეთიკური ხედვის ახლებური გააზრების მცდელობა.

965. კვაჭანტირაძე მ. მნიშვნელობათა ჩამოყალიბების სპეციფიკა ოთარ ჭილაძის რომანებში // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 151 _ 170.

მნიშვნელობის ქცევა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების რთულ სინთეზად ო. ჭილაძის შემოქმედებით ცნობიერებაში.

966. კვიციანიშვილი ე. მოლალურის ბუდე // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 59-72.

აკაკი წერეთლის ერთ-ერთი გვიანდელი ლექსის (“მოლალურის ბუდე”) და მის მიერ დამუშავებული ცნობილი ლეგენდის “გოგია მეჩონგურეს” მხატვრული სახეები და პრობლემატიკა.

967. კვიციანიშვილი ე. ”სხვა საუკუნე გალაკტიონის” // საგურამო . – 2002 . - № 3 . – გვ. 16 _ 26; 2003 . - № 4 . – გვ. 60 – 71.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია.

968. კვიციანიშვილი ე. ”ვეფხისტყაოსნის” ორი სამეფო და ისტორიის დასასრული // საგურამო . – 2002 . - № 3 . – გვ. 52 _ 56.

ნაწარმოების განხილვა ისტორიული კუთხით ანუ ”ისტორიის მეტყველება” პოემაში.

969. კობეშვილი მ. ვეფხისტყაოსნის გმირთა სახისმეტყველების ერთი ასპექტი // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 81 _ 88. რეზ. ინგლ. ენაზე.

ვეფხისტყაოსნის გმირები განხილულია, როგორც ერთარსება უფლის სუბსტანციურ-იპოსტასური ღვთაების სახე-ტიპები.

970. კოტეტიშვილი ვ. ”ლექსები ტანზე გამონაყარი” : (ვახტანგ კოტეტიშვილისა და ნიკო სამადაშვილის მეგობრობის ამბავი წიგნიდან ”ჩემი წუთისოფელი”) // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 204-216.

ფოლკლორისტიკის მიერ ახალგაზრდა პოეტის ლექსების შეფასება.

971. კოჭლოშვილი ნ. სამშობლოს მზეზე შეყვარებული შიო არაგვისპირელი // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 [12] . – გვ. 70 _ 74. რეზ. რუს. ენაზე.

ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში დაცული შიო არაგვისპირელის გამოუქვეყნებელი, პატრიოტულ თემაზე დაწერილი ნოველები: "ჩემი სამშობლოს მზე" და "მიწა!".

972. კოჭლოშვილი ნ. შიო არაგვისპირელი და ხალხური სიტყვიერება // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 [12] . – გვ. 64-69. რეზ. რუს. ენაზე.

ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები მწერლის შემოქმედებაში; ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში დაცული შიო არაგვისპირელის უცნობი და მის უბის წიგნაკში ჩაწერილი შელოცვების ტექსტები.

973. კრიხელი ნ. ამოს ოზის მოთხრობების "ჩრდილზე, სინათლესა და სიყვარულზე" ქართული თარგმანის ლექსიკის ანალიზისათვის // აღმოსავლეთი და კავკასია . – 2003 . – № 1 . – გვ. 134_137. რეზ. რუს. ენაზე.

თანამედროვე ებრაელი მწერლის მოთხრობის მამუკა ბუცხრიკიძისეული თარგმანის ანალიზი.

974. კუჭუხიძე გ. მაცხოვრის ორი სიმბოლოს განმარტებისათვის // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . – № 4 . – გვ. 22 _ 24. რეზ. ინგლ. ენაზე.

იოანე საბანისძის მიერ "წმიდა ჰაბო ტფილელის მარტვილობაში" ნახსენები უფლის 18 სიმბოლოდან ორის – "მატლი" და "მზე სიმართლისა" – განხილვა.

975. ლომსაძე თ. "პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა..." // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 137 _ 140.

გაზეთ "ივერიაში" (1905 წ.) დაბეჭდილი ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილის "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმის" იდეის სიღრმე, ოსტატობა და ნოვატორული ფორმა.

976. ლორთქიფანიძე გ. , კიკნაძე ვ. , ქუთათელაძე ა. ოთარ ჩხეიძე – 80 // თეატრი და ცხოვრება . – 2001 . – №2 . – გვ. 54 _ 56.

საიუბილეო მილოცვები მწერალ ოთარ ჩხეიძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

977. მაგაროტო ლ. 1914-1921 წლების ტფილისის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება // ქართული მოდერნიზმი : 1910 _ 1930 . – [თბ. , 2006] . – გვ. 45 _ 71.

ქართველ "ცისფერყანწელთა", რუს "აკმეისტთა", "კუზმინისტთა" და "ფუტურისტთა" როლი მე-20 ს-ის დასაწყისის თბილისის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების განვითარებაში.

978. მათიაშვილი მ. ლოგიკით იმპლიცირებული ჩანართების ფუნქცია თარგმანში // სჯანი . - 2003 . - № 4 . - გვ. 180 _ 187.

ზოგიერთი მთარგმნელისეული ხერხის გამოყენების სისტემური ხასიათის ჩვენება ზ. რატიანის მიერ ნათარგმნ ტ. ს. ელიოტის “უნაყოფო მიწის” მაგალითზე.

979. მამედოვი (მემედლი) შურედინ ბაჰედინ-ოღლუ. საქართველოში აზერბაიჯანული ლიტერატურის განვითარების საკითხები : (შუა საუკუნეები) // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 9 . - გვ. 74 _ 77. რეზ. ინგლ. ენაზე.

მე-16_18 საუკუნეებში საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება. ბორჩალოელი პოეტის სადიგის ლირიკული შემოქმედება (მე-18 ს).

980. მამულაშვილი გ. სამგლოვიარო რიტუალები “შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიების გათვალისწინებით // თეატრი და ცხოვრება . - 2000 . - № 2 . - გვ. 88 _ 94.

ნაწარმოების განხილვა სიკვდილთან დაკავშირებული რიტუალების შესასწავლად.

981. მანია ქ. ნინოს ლოცვა ლეონტი მროველის “წმ. ნინოს ცხოვრების” მიხედვით // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . - 2001 . - № 4 . - გვ. 3 _ 11. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია ყველა ის ეპიზოდი, სადაც იგი ღვთის წინაშე წარსდგება და ლოცვით სთხოვს მას შემწეობას.

982. მანიჭაშვილი ი. კომედია თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში : (80_90-იანი წლები) // თეატრი და ცხოვრება . - 2001 . - № 3 . - გვ. 77.

თანამედროვე ქართული კომედიის ძირითადი ტენდენციები რ. მიშველამის, თ. ჭილაძის, შ. შამანაძის, ი. სამსონაძის და სხვათა ნაწარმოებების ფონზე.

983. მანიჭაშვილი ი. ლაშა თაბუკაშვილის პიესების კონცეფცია // თეატრი და ცხოვრება . - 2001 . - № 2 . - გვ. 67 _ 77.

ახლგაზრდობის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, ცხოვრებისეული სიმართლე მწერლის დრამატურგიაში.

984. მანიჭაშვილი ი. ”რეკვიემი წაბლისფერ კვიცზე” // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . - 2001 . - № 4 . - გვ. 227_230. რეზ. ინგლ. ენაზე.

თეიმურაზ ქურდოვანიძის პიესების კრებულის (თბ. , 1997) განხილვა.

985. მეგრელიშვილი ქ. პერსონაჟთა შინაგანი განწყობილების ასახვა ფიტონიმთა საშუალებით : (“ვის ო რამინისა” და “ვისრამიანის” მიხედვით) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2002 . - ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . - გვ. 154 _ 160. რეზ. რუს. ენაზე.

განხილულია სპარსული ლიტერატურული ძეგლი და მისი ქართული თარგმანი.

986. მეგრელიშვილი ქ. ფლორის აღმნიშვნელი რამდენიმე ლექსიკური ერთეული და მათი როლი გმირთა ფიზიკური მხარის გადმოსაცემად "ვის ო რამინსა" და "ვისრამიანში" // აღმოსავლეთი და კავკასია . – 2004 . - № 4 . – გვ. 203 _ 208. რეზ. რუს. ენაზე.

987. მესხი ნ. ექსპრესიონიზმი – თეორიული საფუძვლები // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 231 _ 240. რეზ. ინგლ. ენაზე.

მიმდინარეობის ჩამოყალიბება გერმანიაში. მისი პრინციპები და დებულებები. ასახვა სახვით ხელოვნებაში, მუსიკაში, კინოში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

988. მეძველია ქ. სიყვარულის ქრისტიანული გაგება ვ. ორბელიანის ზოგიერთი ლექსის მიხედვით // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 142 _ 148. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია ლექსები: "დახშულის გულით", "ვიდეგ შენ წინა", "როდესაც მშვენიერებავ", "როგორც განაზნევეს", "გალია" და სხვ.

989. მილორავა ი. მოდერნისტული სკოლები და ქართული მოთხრობა // სჯანი . – 2002. – ტ. 3 . - გვ. 115 _ 125.

მე-20 საუკუნის ქართული მოთხრობის, როგორც პროზის ერთ-ერთი ჟანრის, განვითარების გზა და მისი შინაგანი მხარის მოდერნიზაცია.

990. მიქიაშვილი ო. ქართველი მეცნიერები ქართველ რომანტიკოსთა თხზულებების ენის შესახებ // ქართველოლოგიური კრებული . – 2003 . - № 2 . – გვ. 78 – 81. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართველ რომანტიკოსთა (ა. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი) მხატვრული პროდუქციის ენობრივ თავისებურებათა ანალიზი ა. შანიძის, ი. ქავთარაძის, ნ. გოგუაძისა და ა. გაწერელიას შრომების მიხედვით.

991. მრევლიშვილი ნ. გრიგოლ ნოსელის "გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების" ქართული ხელნაწერებისა და რედაქციების ბერძნულ ორიგინალთან მიმართების საკითხისათვის // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 96 _ 117. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

992. ნადირაძე გ. ბუნება როგორც ესთეტიკური სამეფო : (ვაჟა-ფშაველას მასალაზე) // სჯანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 189 _ 196.

ფრაგმენტები ლიტერატორის და კრიტიკოსის გიორგი ნადირაძის (1902_1960) არქივში დაცული გამოკვლევებიდან ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ.

993. ნარიშანიძე ნ. , ფარცხალია ნ. ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებების აღმზრდელიობითი მნიშვნელობა // საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე . – 2000 . - № 2 _ 3. – გვ. 87 _ 95. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

“კაცია-ადამიანი?!” , “გლახის ნაამბობი”, “ოთარაანთ ქვრივი”.

994. ნიკოლაძე ზ. , გოგილაშვილი ო. ილია ჭავჭავაძე და ჰუმანური პედაგოგიკა // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 9. – გვ. 13 _ 17. რეზ. ინგლ. ენაზე.

ი. ჭავჭავაძის ღვაწლი პედაგოგიკის მეცნიერების ფორმირებისა და განვითარების საქმეში.

995. ოთარაშვილი თ. სოლომონ დოდაშვილის სახე ქართულ მხატვრულ პროზაში : (ალექსანდრე კალანდაძის ”შარავანდედის მიხედვით”) // სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული : თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 43_49. რეზ. ინგლ. ენაზე.

996. ოძელი მ. მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმართებისათვის // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობ ა. – გვ. 144 _ 154. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ვაჟა-ფშაველასა და შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ცხოვრებისა და შემოქმედების პარალელები.

997. რატიანი ი. დროის ტყვეობა თუ ზედროულობის თავისებურება? : ტემპორალური ალტერნატივა მ. ჯავახიშვილის რომანში “ჯაყოს ხიზნები” // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 126 _ 138.

ნაწარმოების პერსონაჟთა პირისპირ შეჯახება დროსთან, რომელიც მათ ბედ-იღბალს განსაზღვრავს.

998. რობაქიძე მ. “ვეფხისტყაოსნის” გული, ცნობა და გონება” // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . – გვ. 190-194. რეზ. რუს. ენაზე.

ადამიანის შინაბუნების აღმნიშვნელ ცნებათა ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანსაზღვრულობა რუსთაველის პოემაში.

999. რობაქიძე მ. “ვეფხისტყაოსნის” ზოგიერთი ცნების ინტერპრეტაციისათვის // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა .

– გვ. 149 _ 164. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ავთანდილის დასახასიათებლად მოწოდებული ცნებების “გონებაშიეწრებულის”, “გული კრულის” და “ბუნებაზიარის” მნიშვნელობა.

1000. რობაქიძე მ. “ტერება” ცნების მნიშვნელობისათვის “ვეფხისტყაოსანში” // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . – გვ. 195 _ 200. რეზ. რუს. ენაზე.

აღნიშნული სიტყვის ხმარების შემთხვევები პოემაში და აზრთა სხვადასხვაობა მისი მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიის შესახებ.

1001. რობაქიძე მ. “უგულობის” შესახებ “ვეფხისტყაოსანში” // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : აღმოსავლეთმცოდნეობა . – გვ. 186 _ 189. რეზ. ენაზე.

სიტყვის შინაარსი და მნიშვნელობა.

1002. რუსაძე ი. საგურამოში : (ნახული და გაგონილი) : 1908 _ 1911 წლები // საგურამო . – 2001 . - № 1 . – გვ. 47 _ 63.

საგურამოს სკოლის მასწავლებლის მოგონებები ილია ჭავჭავაძის მამულის ბედზე მისი მკვლევარობის შემდგომ პერიოდში.

1003. რჩელიშვილი ნ. “დროში განფენილი ესაზღვრება” : (დედის ფენომენი ოთარ ჭილაძის რომანებში) // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . _ 2001. – ტ. 3[12]. – გვ. 61 _ 63. რეზ. ინგლ. ენაზე.

“რკინის თეატრი”, “ყოველმან ჩემმან მპოვნელმან”.

1004. სვინტრაძე ნ. პერსონაჟთა გარეგნობისა და ფსიქოლოგიურ განცდათა აღწერის პოეტიკა რუსთაველის ”ვეფხისტყაოსანისა” და ნიზამის ”ლეილმაჯნუნისა” მიხედვით // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 341 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 213 _ 228. რეზ. რუს. ენაზე.

ქართულ-შირვანული ლიტერატურული ურთიერთობა. ნიზამის ”ლეილმაჯნუნისა” და რუსთაველის ”ვეფხისტყაოსნის” ტიპოლოგიური ურთიერთმიმართება.

1005. სილაგაძე ა. ქართული ლიტერატურის ისტორია, როგორც სისტემა და ლიტერატურული ნორმების საკითხი . – თბ. , 2000.

რეც. : დოიაშვილი თ. სისტემა – პროცესი – ნორმა // სჯანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 95-103.

1006. სირაძე რ. ქართული პარადიგმული სახისმეტყველებისათვის // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 8 _ 28.

ქართული ენის ბუნების, მისი თავისებურებების მნიშვნელობა სახეთა პარადიგმულობის კვლევა-ძიებისათვის. სახისმეტყველების ზესოციალური საფუძვლები და ქართული პარადიგმატიკის შესწავლის ისტორია.

1007. სირაძე რ. ქართული პარადიგმული სახისმეტყველებისათვის : სიტყვათა სემანტიკური ბინარულობა და ქართული პარადიგმული სახისმეტყველება // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 19 _ 37. დასაწყისი : სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 8 _ 28.

ქართულ სახისმეტყველებაში გავრცელებული ზოგიერთი პარადიგმისა და მათი ბინარული მნიშვნელობის განხილვა.

1008. სიხარულიძე ფ. მამუკა ბარათაშვილის ეპიტაფია // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. – 2001 . - №10 . – გვ. 5 _ 10. რეზ. რუს. ენაზე.

მწერლისა და დიპლომატის მ. ბარათაშვილის ეპიტაფიის მონაცემებისა და დოკუმენტების საფუძველზე მისი ცხოვრების ზოგიერთი დეტალის გარკვევა (მოღვაწეობდა რუსეთში მე-17 _ 18 სს. მიჯნაზე, დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტერში).

1009. სონღულაშვილი ი. შოთა რუსთაველის ქუდი // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები . – 2003 . – ტ. 8 . – გვ. 152-154. რეზ. რუს. ენაზე.

ი. სონღულაშვილის მიერ 1937 წ. რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით დაწერილი დღემდე უცნობი წერილი XIV_XV საუკუნეებში შექმნილი შოთა რუსთაველის მინიატურული პორტრეტის შესახებ, რომელზეც მას ბეწვის მაღალი ქუდი ახურავს.

1010. სპარსიაშვილი ა. გალაკტიონის ”ოსანა” // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 [12] . – გვ. 25 _ 28. რეზ. ინგლ. ენაზე.

შეძახილის ”ოსანა!”-ს, როგორც ღვთისადმი ამაღლებული ლოცვა-კურთხევის განმარტება გალაკტიონის ლექსებსა და ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში (იოვანე შავთელი, მარკოზის სახარება და სხვა).

1011. სულავა ნ. ჰიმნოგრაფიის სახისმეტყველება: (წერილი პირველი) // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 90 – 102; (წერილი მეორე) . – 2002 . – ტ. 4 . – გვ. 78 – 94.

ჰიმნოგრაფიის სახისმეტყველების თავისებურებები; საგალობლებში სიმბოლოებით მეტყველება, როგორც მისი სახისმეტყველებითი გააზრების საფუძველი.

1012. სუმბაძე მ. ბიბლიური მოტივები ტ. ტაბიძის მინიატურაში “შურისძიება” // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 [12] . – გვ. 50 _ 51. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბიბლიური წიგნის ”ივდითის” გამოძახილი ტიციან ტაბიძის ნაწარმოებში ”შურისძიება”.

1013. სუმბაძე მ. ღმერთთან მიახლოების სურვილი ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში “ლოცვა” // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 [12] . – გვ. 59 _ 60. რეზ. ინგლ. ენაზე.

ლექსის განხილვა.

1014. სუმბაძე მ. ხე, როგორც სიმბოლო ბიბლიაში და ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 [12]. – გვ. 52 _ 58. რეზ. ინგლ. ენაზე.

ხე, როგორც რწმენისა და სიცოცხლის სიმბოლო ბიბლიური მასალებისა და პოეტის ლექსების (“სოფლისაკენ”, “დიდება ხეს”, “8 აგვისტო”...) მიხედვით.

1015. ტატიშვილი ქ. აკროსტიქი ანტონ I კათალიკოსის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - 1^ჟ4 . – გვ. 125 _ 133. რეზ. ინგლ. ენაზე.

აკროსტიქის რაობა. განხილულია ქართველი წმინდანებისადმი მიძღვნილი ანტონისეული კიდურწერილობიანი საგალობლები.

1016. ტრაპაიძე ქ. მარგალიტის სახე-სიმბოლო “ვეფხისტყაოსანში” // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - №4. – გვ. 89 _ 94. რეზ. ინგლ. ენაზე.

მარგალიტის სახისმეტყველებითი დატვირთვა “ვეფხისტყაოსანში”. მოსაზრებები ძვირფასი ქვების სიმბოლიკის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

1017. ფირცხალავა ლ. ამირანის მითისა და ვეფხისტყაოსნის ურთიერთკავშირი : (ფაბულა, სიუჟეტი, კომპოზიცია) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 62 _ 67. რეზ. ინგლ. ენაზე.

1018. უზარაშვილი თ. გ. ერისთავის პოემა “შემლილი” // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 169 – 177. რეზ. ინგლ. ენაზე.

კომედია-პოემის განხილვა.

1020. ფუტყარაძე ტ. ქართლის საზღვრების საკითხისათვის გიორგი მერჩულეს მიხედვით // ქართველოლოგიური კრებული . – 2003 . - № 2 . – გვ. 95 – 107. რეზ. ინგლ. ენაზე.

გიორგი მერჩულეს ფრაზა “ქართულად ფრიადი ქუეყანა ოღირიცხების...” ქართველი მეცნიერების ანალიზი (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, მ. გიგინეიშვილი, ვ. როდონაია, ზ. სარჯველაძე, კ. დანელია, დ. მუსხელიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი).

1021. ქათამაძე ლ. იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ინტერესები // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 92-113.

მწერლის კრიტიკული მიმოხილვებისა და წერილების შესახებ.

1022. ქათამაძე ლ. იოსებ გრიშაშვილის პოლემიკური წერილები სონეტის გარშემო // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . _ 2000 . _ ტ. 336 : ჟურნალისტიკა . _ გვ. 138 _ 160.

ი. გრიშაშვილისა და გრ. რობაქიძის პოლემიკური წერილების ციკლი სონეტის ფორმისა და შინაგანი მხარის შესახებ.

1023. ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი მცირე ანთოლოგია . – თბ. , 1997. _ 196 გვ.

რეც. : ტაბუცაძე ს. გზასიტყვას // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 221 _ 223.

1024. ყურაშვილი ზ. “სამამაცონი ზნენი” “ვეფხისტყაოსნის” მიხედვით : (ნადირობა, საომარი ხელოვნება, ბურთაობა, ნადიმი) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 255 _ 263.

1025. ყუფუნია-ცხადაძე ე. გმირი, რომელსაც “შაურის ამუნიცია და მანეთის ამბიცია” შესწამეს // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 204 _ 205. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია ალ. ქუთათელაძის რომანი “პირისპირ”. ერთ-ერთი გროტესკული პერსონაჟის პლატონ მოგველაძის პროტოტიპი – გრიგოლ რობაქიძე.

1026. შათირიშვილი ზ. კანონის თეორია და სამი ქართული სალიტერატურო კანონი // სჯანი . – 2003 . – ტ. . – გვ. 3 _ 8.

ქართული სალიტერატურო კანონის ფორმირების კვლევა და მისი შემადგენელი პერიოდების ანალიზი. გამოყოფილია სამი პერიოდი: 1) კლასიკური კანონი – მე-16 _ 18 სს.; 2) ნაციონალური კანონი – მე-19 სს.; 3) ახალი კანონი – მე-20 ს.

1027. შათირიშვილი ზ. რამოდენიმე ტროპოლოგიური და ინტერტექსტუალური ექსკურსი : (“შემოდგომა” უმანკო ჩასახების” მამათა სავანეში”) // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 91 _ 96.

განხილულია გ. ტაბიძის ლექსის მეტაფორულ-პოეტური სიმბოლიკა. ნაჩვენებია მისი კავშირი (ინტერტექსტუალობა) სხვა ლიტერატურულ წყაროებთან.

1028. შარაძე რ. ხარიტონ შავიშვილი – “ვეფხისტყაოსნის პოპულარიზატორი” შვეიცარიაში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 102 _ 107. რეზ. ინგლ. ენაზე.

პოლიტიკური ემიგრანტი (1886 _ 1975). მისი წვლილი 1937 წ. ჟენევაში ჩატარებული რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებებში. მის მიერ 1963 წ. ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნაკი “შოთა რუსთაველი ჟენევის უნივერსიტეტში”.

1029. შაყულაშვილი გ. ქართველი მწიგნობრის საინტერესო კომენტარი // აღმოსავლეთი და კავკასია . – 2005 . - № 3 . – გვ. 355 _ 357. რეზ. ინგლ. ენაზე.

მე-18 ს-ის ქართველი სწავლულის დავით რექტორის (1745 _ 1825) ინფორმაცია თურქულენოვანი სამყაროს სალექსო ფორმა ბაიათის შესახებ; ბაიათი ქართულ ლიტერატურაში.

1030. ჩაჩანიძე მ. [არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 63-ე სამეცნიერო სესია. “სესია ეძღვნება პოეტ აკადემიკოს ანა კალანდაძეს”. დაბადების 80 წლისთავის გამო] // ქართველოლოგიური კრებული . – 2004 . - № 3 . – გვ. 136 _ 139. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

1031. ჩიკვაძე ე. ზოგიერთი დაკვირვება “ვეფხისტყაოსნისა” და სასულიერო მწერლობის ურთიერთმიმართების შესახებ

// კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 95 _ 101. რეზ. ინგლ. ენაზე.

რუსთაველის მსოფლმხედველობა. “ვეფხისტყაოსნის” და სასულიერო მწერლობის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

1032. ჩხაიძე თ. ადამიანური სულის გადასარჩენად : ზაირა არსენიშვილის ახალი რომანი // საგურამო . – 2003 . - № 5 . – გვ. 25 – 32.

რომანების – “ვა, სოფელო.....” და “რეკვიემი” – განხილვა.

1033. ჩხიკვაძე მ. ანტონ ფურცელაძე და ძველი ქართული მწერლობა // ჟურნალისტური ძიებანი. – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 150 _ 156.

მწერლის შეხედულებები “ვისრამიანზე”, “ვეფხისტყაოსანსა” და “კალმასობაზე”.

1034. ცერცვაძე ლ. მითოსური რიტუალი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში // ფილოსოფიური ძიებანი . – 2001 . – ტ. 5 . – გვ. 210 _ 218. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია “სტუმარ-მასპინძელი” და “ალუდა ქეთელაური”.

1035. ცინცაბაძე მ. ქეთევან დედოფლის თემა XVII, XVIII და XIX ს. დასაწყისის ქართულ საერო მწერლობაში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4. – გვ. 108 _ 120. რეზ. ინგლ. ენაზე.

განალიზებულია თეიმურაზ პირველის, მეფე-პოეტის არჩილის, ანონიმი ავტორის, სულხან-საბა ორბელიანის, დიმიტრი ბაგრატიონისა და ანტონ პირველის ნაწარმოებები.

1036. ცქიტიშვილი თ. ნების თავისუფლების პრობლემა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში : ”მისგან არს ყოველი ხელმწიფის” ახლებური გაგებისათვის // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები . – 2001 . – ტ. 30 : კრებული . – გვ. 78 _ 94.

პროლოგის პირველი ორი სტროფის ანალიზი.

1037. წერედიანი დ. ”ჩემთვის ელვარებაა სათარგმნი...” // სჯანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 160-167.

ნიწო დარბაისელის ინტერვიუ ლიტერატორ და მთარგმნელ დავით წერედიანთან მხატვრული თარგმნის პრობლემებზე, ლიტერატურული მიმდინარეობების, ქართული ენის ბუნების და სხვა საკითხების შესახებ

1038. წერეთელი ა. აკაკის ანდერძი // საისტორიო ვერტიკალები . – 2002 . - № 4 . – გვ. 137.

ანდერძი დაწერილია 1912 წლის 7 ნოემბერს ქუთაისის ნოტარიუს აბდუშელიშვილთან.

1039. წიფურია ბ. კომუნიკაციის შესა(შეუ)ძლებლობა // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 144 _ 158.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის – ”დაეძებდა (ერთგვარი მოთხრობა) (ალაგ დეტექტივიც)” გარჩევა.

1040. წოწკოლაური დ. ვაჟა-ფშაველა ბუნებრივი და სოციალური ღირებულებების კავშირის შესახებ // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 20 _ 37. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

პოეტის მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი ინტერესი ბუნებასთან ადამიანთა მიმართების თავისებურებებისადმი.

1041. წურწუშია კ. ევროპული პოეზიის მოტივები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 157 _ 168. რეზ. ინგლ. ენაზე.

ნ. ბარათაშვილის პოეზია წარმოჩენილია ჯაკომო ლეოპარდის., ედგარ ალან პოს და ადამ მიცკევიჩის პოეზიასთან მიმართებაში.

1042. წურწუშია ლ. დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ასპექტები // ფილოსოფიური ძიებანი . – 2001 . – ტ. 5 . – გვ. 257 _ 275. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია ასევე განმანათლებლური ტენდენციები მწერლის მსოფლმხედველობაში.

1043. ჭაბაშვილი მიქაელი, დეკანოზი. ამბროსი ნეკრესელის შესხმანი //კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 134 _ 141. რეზ. ინგლ. ენაზე.

მე-18 ს-ის სასულიერო მოღვაწე. განხილულია ერეკლე II-ის და მისი ძის ლეონ ბატონიშვილისადმი მიძღვნილი შესხმანი.

1044. ჭამპურიძე ნ. იაკობ გოგებაშვილის ქრისტიანულ-ზნეობრივი შეხედულებები // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001. - № 4. – გვ. 194 _ 209. რეზ. ინგლ. ენაზე.

მისი მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომებისა და თხზულებების მიხედვით.

1045. ჭილაია რ. ავტორისეული მის ლიტერატურულ გმირებში // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 134 _ 143. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობების ”ოთარაანთ ქვრივისა” და ”კაცია ადამიანის?!” მაგალითზე.

1046. ჭირაქაძე თ. კათარსისი – მელოთერაპია : (“ვეფხისტყაოსნის” ერთი ფრაგმენტის ანალიზი არისტოტელეს ”პოეტიკის” ერთი პასაჟის მიხედვით) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 249 _ 254.

ტერმინის განმარტება. ავთანდილის მძიმე სულიერი მდგომარეობა და ლოცვა მნათობების მიმართ.

1047. ჭუმბურიძე ლ. ადამიანის სრულყოფის იდეალი "არჩილიანში" // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 135 _ 148. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

არჩილ ბაგრატიონის ეთიკური შეხედულებები.

1048. ხალვაში რ. ტბელ აბუსერიძე – ბიოგრაფიული ესკიზი // ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები . – 2005 . – ტ. 3 . – გვ. 80 _ 89. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

მე-13 საუკუნის მწერალი და მოღვაწე.

1049. ხაფავა თ. ადამიანის იდეალი იტალიურ რენესანსში და მისი ტიპოლოგიური მიმართება "ვეფხისტყაოსანთან" // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 165 _ 203. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1050. ხინთიბიძე ა. ბესიკის რითმა // სჯანი . – 2003 . – ტ. 4. – გვ. 103 _ 109.

რიტმის მნიშვნელოვანი ესთეტიკური ფუნქცია, სალექსო ფორმათა მრავალრიცხოვნობა და გართმვის სისტემათა მრავალსახოვნება ბესიკის შემოქმედებაში.

1051. ხინთიბიძე ა. ვერსიფიკაციული ნარკვევი . – თბ. , 2000.

რეც. : ჯიქია მ. მთიბლურიდან "არტისტულ ყვავილებამდე" // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 217 _ 221.

1052. ხინთიბიძე ა. რითმა და ზმა // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 97 _ 103.

მკვლევართა მოსაზრებები რითმისა და ზმის შესახებ. აზრთა სხვადასხვაობა ტერმინ "ზმის" განმარტებასთან დაკავშირებით.

1053. ხინთიბიძე ა. ტერმინებისათვის : ზუსტი და არაზუსტი, ვაჟური და ქალური რითმა // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 103 _ 106.

ქართულ ლექსთმცოდნეობაში გავრცელებული ტერმინების: ვაჟური და ქალური რითმების ნაცვლად ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი, ხოლო დაქტილურის და ზედაქტილურის ნაცვლად – სამმარცვლიანი და მრავალმარცვლიანი ტერმინების ხმარების აუცილებლობის შესახებ.

1054. ხინთიბიძე ე. ღმრთისმოშიშებისათვის ანუ "შიში შეიქმს სიყვარულსა" და ვეფხისტყაოსნის მიმართებისათვის ქართულ სასულიერო მწერლობასთან // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 246 _ 267. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1055. ხინთიბიძე ზ. სტრუქტურული სიმეტრიის კომპოზიციური პრინციპი და "ვეფხისტყაოსანის" დასასრულის პრობლემა // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 210 _ 245. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1056. ჯაბა იოსელიანი 75 // თეატრი და ცხოვრება . – 2001 . - № 3. – გვ. 71 _ 76.

გ. ლორთქიფანიძე, გ. გეგეშიძე, გ. ბათიაშვილი და სხვ. მწერალ ჯ. იოსელიანის პიროვნულ თვისებებსა და შემოქმედებით ცხოვრებაზე..

1057. ჯავახიშვილი გ. ალექსანდრე პუშკინი “მოცარტი და სალიერი” // თეატრი და ცხოვრება . – 2000 . - № 2 . – გვ. 95 _ 100.

იურისტისა და ლიტერატორის შალვა ქართველიშვილის (1890_1938 წწ.) ბიოგრაფიული მონაცემები და მის მიერ შესრულებული პუშკინის პიესის თარგმანის პუბლიკაცია.

1058. ჯალიაშვილი მ. “ისევ საკუთარ თავში უნდა ჩავბრუნდე” // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4. – გვ. 221 _ 226.

განხილულია გივი ალხაზიშვილის რომანი “ამოდის თუ ჩადის მზე”.

1059. ჯიქია ა. სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა ესთეტიკისათვის // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . - № 4 . – გვ. 121 _ 124.

ნათლის-სიმშვენიერის, მოციქულეობრივი სიყვარულის აღქმა-შეცნობა მწერლის შემოქმედებაში.

1060. ჯიქია მ. ლექსმცოდნეობის სემინარი – 30 // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 208 _ 211.

1972 წელს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ლექსმცოდნეობის სემინარის შექმნისა და 30-წლიანი საქმიანობის შესახებ.

1061. ჯიქია ნ. პაოლო იაშვილის პუბლიცისტური ოსტატობა : (არგუმენტაცია და მისი ფორმები) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 336 : ჟურნალისტიკა. – გვ. 161 _ 167. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

პაოლო იაშვილის პუბლიცისტური წერილების ანალიზი.

1062. ჯიქია ნ. პუბლიცისტურ-მხატვრული პარალელები // ჟურნალისტური ძიებანი . – 2001 . – ტ. 1. – გვ. 114 _ 117.

პაოლო იაშვილის შემოქმედება.

1063. ჯიჯეიშვილი მ. ფერი კ. გამსახურდიას რომანში “დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა” // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 123 _ 129.

ფერის სიმბოლიკა რომანის პერსონაჟთა ყოველდღიურ ყოფაში.

1064. Бабловани Ц. Образы детей, борющихся за свободу, в грузинской детской прозе // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 192 _ 197.

Образы детей на примере повести Р. Коркия “Галстук”, повести Нины Накашидзе “Аришка”, рассказа И. Урджумелашвили “Материнские часы” и рассказа Лаврентия Чичинадзе “Маленький герой”.

1065. Беселиа А. Систематика основ литературного творчества. – Тб., 2001.

რეც. : დარბაისელი ნინო. “ლიტერატურული შემოქმედების საფუძველთა სისტემატიკა” // სჯანნი. – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 197 _ 200.

1066. Гилаური Н. Тбилиси в поэзии Рюрика Ивнева // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 203 _ 209.

Тбилисская тема в творчестве русского поэта Р. Ивнева.

1067. Гудушаური Н. К истории германско-грузинских литературных отношений // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 – ტ. 3 [12] . – გვ. 79 _ 83. რეზ. ინგლ. ენაზე.

Переписка и творческое содружество немецкого литератора Отто Глогау-Никольсбурга с писательницей Дарией Ведремисели (1874–1925).

1068. Данелиа М. Персонажи “Кавказского происхождения” в “Аргонавтике” Валерия Флакка // Caucasia . – 2002 . – vol. 5 . – с. 38-49.

Некоторые аспекты проблематики сказания об аргонавтах на примере поэмы римского поэта Валерия Флакка (I в. н. э.) “Аргонавтика”. Поэма выделяется обилием псевдомифологических персонажей, связанных с Кавказом.

1069. Двалишвили У. Ритуальные танцы связанные с “культура умерших” : (По повести А. Казбеги “Элгуджа”) // Кавказоведение. – 2002 . - № 2 . – с. 176-180. Рез. на англ. языке.

1070. Джинчарадзе Д. “Грибоедов и Грузия” в современной русской поэзии // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 8 . – გვ. 203 _ 209. რეზ. ინგლ. ენაზე.

Тема - “Грибоедов и Грузия” в творчестве П. Антокольского, С. Есенина, С. Смирнова, Ал. Яшина, Е. Евтушенко и др.

1071. Дзоценидзе Л. Грузинская редакция “Апофтегмата” // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. – 2002. – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობა. – გვ. 40 _ 52. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

Греческие сборники развлекательного и назидательного характера; “Апофтегмата” как неотъемлемая часть грузинской литературы и культуры.

1072. Имнадзе Э. Леван Готуа : (10/1 I I-1905 - 30/ I – 1973) : (Библиографический обзор) Кавказоведение. – 2002. - № 2. – с. 218 - 221. Рез. на англ. языке.

Краткая биографическая справка и творческий путь писателя Л. Готуа.

1073. Картозия Г. А. А. Гвахария // Кавказоведение. – 2002. - № 2. – с. 235 - 239. Текст на рус. и англ. языках.

Некролог выдающегося учёного ираниста, доктора филологических наук А. А. Гвахарияу

1074. Орловская Н. Кавказ и Грузия в романе американского автора XIX века // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები .

– 2002 . – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 31 _ 38. რეზ. რუს. და ინგლ. ენ.

Роман Ричарда Генри Сэвиджа “Ухаживание принца Шамиля”. История Кавказско-русско-турецкой войны.

1075. Робакидзе М. Внутренний мир человека как мерило христианского мирозерцания в поэме Шота Руставели “Вепхისტკაოსანი” // აღმოსავლეთი და კავკასია. – 2005. - 3. – გვ. 346 _ 349. რეზ. ინგლ. ენაზე.

1076. Соселиа М. Уроки нравственности : (По роману Н. Думбадзе “Я, бабушка, Илико и Иларион”) // Кавказоведение. с 2002. - № 2. – с. 161 – 167. Рез. на англ. языке.

1077. Халидов А. Поэма Шота Руставели – впервые на арабском языке // ორიენტალისტი. – 2001. - ტ. 1. – გვ. 237 _ 238.

Анализ прозаического арабского перевода “Витязя в тигровой шкуре”, выполненного Низаром Халили и опубликованного в Дамаске в 1984 г.

1078. Цицишвили Т., Модебадзе И. У истоков осмысления грузинского романтизма // Кавказоведение. – 2003. - № 4. – с. 197 - 200. Рез. на англ. языке.

Воззрения К. Абашидзе на природу и значение грузинского романтизма 19-го века в общем ходе развития литературно-художественного процесса.

1079. Цоцколаური Д. Природа как художественно-эстетический феномен // Кавказоведение. – 2003. - № 4. – с. 201 - 203. Рез. на англ. языке.

Персонифицирование природы, её символично-аллегорическое и метафорическое преобразование, связанное с человеческими проблемами в творчестве Важа-Пшавела.

1080. Цхададзе Э. Святые и философы : (Д. Мережковский, А. Белый, Г. Робакидзе) // Кавказоведение. – 2003. - № 3. – с. 122 - 124. Рез. на англ. языке.

Г. Робакидзе – как один из великих реформаторов грузинской культуры.

1081. შატბერაშვილი ლ. “Обвал” Михаила Джавахишвили и “Вдова Отаровых” Ильи Чавчавадзе // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. – 2002. – ტ. 340 : ლიტერატურათმცოდნეობა. – გვ. 53 _ 59. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

Параллели между героями 19–20 веков на основе сравнительного анализа произведений.

1082. Шахатунян Э. Особенности структурных элементов романов К. Гамсахурдия “Десница великого мастера” и Д. Демирчяна “Вардананк” // აღმოსავლეთი და კავკასია. – 2005. - 3. – გვ. 358 _ 361. რეზ. ინგლ. ენაზე.

Смежные концепции и назначение исторического романа в творчестве представителей двух национальностей.

1083. Asatiani A. The ideas of spiritual upbringing and education in Georgian hagiographical literature // Кавказоведение. – 2003. - № 4. – с. 204-212. Рез. русск. языке.

სულიერი აღზრდის იდეები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში (V-XI სს.).

ფოლკლორი

1084. ბეზარაშვილი ლ. ქართული ფოლკლორისტიკის კერა მოსკოვში . – თბ. , 2005 . – 36 გვ.

მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების ეთნოგრაფიული განყოფილების დეაქტიური ქართული ფოლკლორის შესწავლის საქმეში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის პირველი ათეული წლების ჩათვლით.

1085. ვაჩეიშვილი გ. ანდაზები და საანდაზო თქმები: (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული შესატყვისები) . – თბ. , 2000 . – 255 გვ.

კრებულში სინონიმური პრინციპით არის წარმოდგენილი ქართული და რუსული ანდაზების ეკვივალენტური ჯგუფები.

1086. მოსია ბ. ქართული ფოლკლორის სახისმეტყველება . – თბ. , 2006 . – 292 გვ.

მონოგრაფია ასახავს ქართული ფოლკლორისტიკის მიღწევებს და წარმოაჩენს მის მუდმივ განვითარებადობას. იგი დაყოფილია თავებად: საღვთო სახისმეტყველება, ასტრალური ღვთაებანი, ფერთამეტყველება, მაგიზმი და ხალხის ყოფა-ცხოვრება, ხალხური სამართალი.

1087. სპარსიაშვილი ა. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ფოლკლორული წყაროები . – თბ. , 2001 . – 128 გვ.

”განდეგილის” ფოლკლორული რემინისცენციები, ფოლკლორი მწერლის ლირიკაში, დრამატურგიასა და პროზაში.

1088. სხალთის ხეობის ფოლკლორული მასალები / შემდგ. : გ. სიხარულიძე; [რედ: ა. არაბული] . – თბ. , 2005 . – 130 გვ.

კრებულში შეტანილია 1972 წელს ხულოს რაიონის სხალთის ხეობაში ფოლკლორული ექსპედიციის დროს მოძიებული მასალები: ზღაპრული ეპოსი; სატრფიალო და საყოფაცხოვრებო ლექსები; საბავშვო თამაშობანი; გამოცანები; ანეკდოტები... კრებულს დართული აქვს მთქმელთა საძიებელი.

1089. ქართული ფოლკლორი : [კრებული] 1 (XVII) / [რედ. : ა. არაბული] . – თბ. , 2002 . – 216 გვ.

წერილები მითოლოგიის, ხალხურ პოეზიაში ასახული ისტორიისა და მხატვრულ-რელიგიური სიმბოლოების შესახებ. ქართულ-აღმოსავლური ფოლკლორული პარალელები: ფოლკლორული ელემენტები ლევან გოთუას რომანში “მითრიდატე”; აკაკი წერეთლის “ნათელა” და ხალხური სიტყვიერება; ღვთისმშობლის სიმბოლიკისათვის ხალხურ ლექსში – “ანბანთქება”; “სიბრძნე-სიცრუისას” ზოგიერთ იგავ-არაკთა პარალელები ჩრდილო კავკასიის ხალხთა ფოლკლორში.

1090. ქართული ფოლკლორი : [კრებული] 3 (XIX) / [რედ. : ა. არაბული] . – თბ. , 2006. – 274 გვ.

ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელი) ფოლკლორული მოღვაწეობა; მთიელთა საკრალური ყოფის ცალკეული მხარეები; ზღაპრული ეპოსის ახლებური კლასიფიკაცია; ცხოველთა სახე-სიმბოლოები; დალის პრობლემისა და სამონადირეო ტრადიციების განსხვავებული გააზრება სვანურ მასალებზე დაყრდნობით; გრიგოლ რობაქიძის “ჩაკლული სული” მითოსური პარადიგმების კონტექსტში; მაქსიმე შარაძის ღვაწლი ქართული საგალობლების გადარჩენის საქმეში; ფოლკლორული მოტივები “ვეფხისტყაოსანში”...

1091. ალუდაური ნ. ხმითნატირლების პოეტიკიდან // სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული : თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2001 . – ტ. 1 . – გვ. 5 _ 9.

ქართული ხალხური სამგლოვიარო პოეზიის საგანძურიდან წარმოდგენილი ორი ტროპული ერთეული, კერძოდ, “მზის ჩამოვარდნა” და “ვარსკვლავის ჩამოვარდნა”.

1092. ბეზარაშვილი ლ. დედაბრის იდეურ-მხატვრული ფუნქცია ქართულ ხალხურ ზღაპრებში // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 9 . – გვ. 52 _ 60. რეზ. ინგლ. ენაზე.

1093. ბერიძე რ. რვამარცვლინი ხევსურული მაღალშაირის მეტრული კანონი // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 116 _ 128.

რვამარცვლინი ხევსურული მაღალშაირის რიტმული ვარიაციები და რიტმული მსაზღვრელები.

1094. იოსელიანი რ. ხალხური სიბრძნის მარგალიტები // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 448 _ 452.

სვანური ანდაზების ლინგვისტური კვლევისა და შეკრება-გამოცემის მნიშვნელობა ხალხური სიტყვიერების მეცნიერული შესწავლის საქმეში.

1095. კაპანაძე ნ. ქართული ფოლკლორი ბავშვის აღზრდის შესახებ // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 295 _ 300.

აღზრდის წესები და იდეები ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალაში. მდიდარი და მრავალფეროვანი ტრადიციების მქონე ქართული ფოლკლორის ნიმუშების აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

1096. კაციტაძე ვ. ინიციაციის ელემენტები ამირანის ეპოსში : შამანური ინიციაცია "ამირანში" // სჯანი . – 2001 . – ტ. 2 . – გვ. 182 _ 203.

შამანური რიტუალის სხვადასხვა ელემენტები ამირანის ეპოსის ზოგიერთ ვერსიაში.

1097. კაციტაძე ვ. ინიციაციის ელემენტები ამირანის ეპოსში : II : მეომრის ინიციაცია "ამირანში" // სჯანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 159 _ 170.

მეომრის ინიციაციის რიტუალები და მათი მიზანი – წარმოაჩინოს პიროვნების ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მზადყოფნა მეომრის ფუნქციის შესასრულებლად.

1098. კვანტალიანი შ. ერეკლე მეორის ციკლის ფოლკლორული ნაწარმოებები // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 348 : ლიტერატურათმცოდნეობა . – გვ. 38 _ 49. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ხალხური სიტყვიერება, რომელიც ნათელს ჰფენს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ მოვლენებს და თვით მეფის პიროვნებას.

1099. მანველიძე ი. "ღორჯომის თემის რევოლუციის ხალხური ლექსი" // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2001 . – №10 . – გვ. 45 _ 48.

აჭარაში 1929 წლის გლეხთა მღელვარების ამსახველი ლექსის შინაარსი, მისი მნიშვნელობა აღნიშნული მოვლენების სრულყოფილად შესწავლისათვის.

1100. მახაური ლ. არაბული გლოვის ლექსი და მისი პარალელები ქართულსა და ჩეჩნურში // აღმოსავლეთი და კავკასია . – 2003 . – № 1 . – გვ. 139 _ 147. რეზ. ინგლ. ენაზე.

არაბული მარსიებისა და ქართულ-ჩეჩნური ხმით ნატირლების მსგავსება და განსხვავება.

1101. მოსია ბ. თეთრის, ნათლისა და მთვარის ფუნქცია ახალ აღთქმაში და მისი მიმართება მეგრულ ხალხურ სიტყვიერებასთან // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა . – 2001 . – № 4 . – გვ. 48 _ 61. რეზ. ინგლ. ენაზე.

ნათლის სიმბოლური გააზრება მეგრულ ფოლკლორში.

1102. მოსია ბ. მეგრულ-ქართულ-ლაზური ზღაპრების შედარებისათვის // ქართველოლოგიური კრებული . – 2006 . – № 5 . – გვ. 61 _ 65. რეზ. ინგლ. ენაზე.

ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ზოგი ფორმულის, ცალკეული სიუჟეტების მსგავსების, სიმბოლურ-სახისმეტყველებითი სახეების ანალიზი, მეგრულ-ქართულ ლაზური ანდაზების მსგავსების ნიმუშები.

1103. ომარაშვილი ნ. ფოლკლორი – ქართულ-დაღესტნური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შესწავლის წყარო // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 350 _ 358.

ისტორიული მოვლენებისადმი ხალხის დამოკიდებულების პოეტური ფერებით ასახვა ქართულ და დაღესტნურ ფოლკლორში წარმოდგენილ საგმირო-ისტორიულ სიმღერათა დიდ ციკლში.

1104. სპარსიაშვილი ზ. ომის კვალი ხმითნატირლებში // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 (12) . – გვ. 39 _ 44. რეზ. ინგლ. ენაზე.

